ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

Alkhali-Taoba

10 თებერვლიდან!
ახალ თაობასთან“ ერთად
ქართული დეტექტივი
ქურდები და არიფები
აფცბ უფპტსსფყ ტჰსფლ № კფჰბ

ოთხშაბათი, 11 თებერვალი, 2015 | 133 (6653) | აფცბბ №) სტსჰბ

ახალი სკანდალი თავდაცვის სამინისტროში რატომ გადადგა ვალერი ზუმბაძე?

ზუმბაძე სასამართლოში ჩივილს აპირებს

ირაკლი ჩიქოვანი სამინისტროს წარმომადგენლებს პარლამენტში იბარებს

ზაქარია ქუცნაშვილს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეობა სურს

„უმრავლესობის ან ფრაქციის შიგნით ეს საკითხი არ განხილულა“

— გვ. 2 —





ლია კრიალაშვილი: „ჩემს ძმას სააკაშვილის სკანდალური აუდიოჩანაწერი მოასმენინეს“

გვ.4

რა საიდუმლო იცოდა გენერალმა კრიალაშვილმა სააკაშვილის შესახებ?

ლეონიდ თიბილოვის სიძემ თავი მოიკლა

გვ.4

შს მინისტრი გარდაცვლილი პოლიციელის – გიორგი ბერუაშვილის დაკრძალვას დაესწრო

გვ.6

ISSN 1987-9385

ზაქარია ქუცნაშვილს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეობა სურს

„უმრავლესობის ან ფრაქციის შიგნით ეს საკითხი არ განხილულა“

გულიკო ბალაძე

23 თებერვალს პრეზიდენტმა მარგველაშვილმა პარლამენტს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის კანდიდატურა უნდა წარუდგინოს.

დღეისთვის ამ პოსტის მსურველი 28 ადამიანია. მათ შორისაა პარლამენტის დეპუტატი „ქართული ოცნებიდან“ ზაქარია ქუცნაშვილი.

მისი კანდიდატურა 11-მა აკადემიურმა და საზოგადოებრივმა ორგანიზაციამ დაასახელა.

დეპუტატი ამ გამოწვევას ღებულობს და თუ საქართველოს პრეზიდენტი და პარლამენტი მხარს დაუჭერს, მზად არის, „ქართული ოცნების“ რიგები დატოვოს.

ერთ-ერთი კრიტერიუმი, რომლითაც პრეზიდენტი მარგველაშვილი უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეობის კანდიდატის დასახელებას აპირებს, მისი პოლიტიკური ნეიტრალიტეტია. სწორედ ამ საკითხზე დაუსვეს შეკითხვა ბ-ნ ქუცნაშვილს პორტალ „კვირის“ პრესკლუბში.

— როგორ ფიქრობთ, შესაძლებელია, პრეზიდენტმა თავი შეიკავოს თქვენი კანდიდატურის დასახელებისგან თქვენი პოლიტიკური საქმიანობიდან გამომდინარე?

— ვიცნობ რა გიორგი მარგველაშვილს, ის არ დაუშვებს პოლიტიკური საქმიანობის ნიშნით ადამიანთა დაყოფას და დისკრიმინაციას. არც ერთი ევროპული ქვეყნის კონსტიტუცია, მათ შორის, არც საქართველოს კონსტიტუცია, არ უშვებს პოლიტიკური საქმიანობის ნიშნით ადამიანების დაყოფას, ვინ სად შეიძლება იმუშაოს. შესაბამისად, პრეზიდენტ მარგველაშვილის მხრიდან პოლიტიკური საქმიანობის ნიშნით ადამიანების დისკრიმინაციას გამოვრიცხავ. არ ველოდები მარგველაშვილის მხრიდან ადამიანების სეგრეგაციას.

— უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის კანდიდატურის შერჩევასთან დაკავშირებით, პრეზიდენტთან უმრავლესობის ლიდერი დავით საგანელიძე იმყოფებოდა. იყო თუ არა თქვენს კანდიდატურაზე საუბარი, როგორც უმრავლესობის წევრზე? სხვადასხვა პოლიტიკურმა პარტიებმა თავისი კანდიდატურები წამოაყენეს. უმრავლესობამ თქვენი კანდიდატურა რატომ არ დაასახელა?

— არც „ნაციონალური მოძრაობა“ და არც „ქართული ოცნება“ თავიანთ კანდიდატურებს არ ასახელებენ. თუმცა, სხვა პარტიებმა თავიანთი კანდიდატურები დაასახელეს. უმრავლესობის შიგნით ან ფრაქციის შიგნით ეს საკითხი არ განხილულა. საჯარო ინფორმაციიდან ვიცით, რომ ბატონ დავითის პრეზიდენტთან მოლაპარაკება პერსონებს არ ეხებოდა. ჩვენ ამ საკითხის პარლამენტში განხილვა მოგვიწევს. თუ ჩემი კანდიდატურა იქნება ნომინირებული, იძულებული შევიქმნები, ამ განხილვაში მონაწილეობა არ მივიღო ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილებისა და ჩემს კოლეგებთან და მეგობრებთან დამოკიდებულების გამო. „ქართულმა ოცნებამ“ და „ნაციონალურმა მოძრაობამ“ თავიანთი კანდიდატურები არ დაასახელეს, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ისინი არ არიან ვალდებული, ჩაერთონ პროცესში და მიიღონ გადაწყვეტილებები ამა თუ იმ კანდიდატის სასარგებლოდ.

— თუ დავით საგანელიძის პრეზიდენტთან შეხვედრის დროს თქვენს კანდიდატურაზე საუბარი არ ყოფილა, მაგრამ თქვენ გამოწვევას იღებთ, გამოდის, ამ საკითხთან დაკავშირებით უმრავლესობაში ერთიანობა არ არის?

— არ ვიცი, შეფასებები თქვენ გააკეთეთ. ფაქტები სახეზეა. მე 11 საზოგადოებრივი ჯგუფი, წამყვანი აკადემიური წრეები მიცხადებენ ნდობას. მე ვერთვები ამ პროცესში და უახლოეს დღეებში შევხვდები ყველა საინიციატივო ჯგუფის წარმომადგენელს, სადაც მივიწვევ პრეზიდენტის ადმინისტრაციას და ჟურნალისტებს. მათ გავაცნობ აუცილებელი რეფორმების ჩამონათვალს, რაც უნდა გატარდეს უზენაეს სასამართლოში და ჩემეულ ხედვას ამ რეფორმების განხორციელებაზე. დღეს საზოგადოების ყურადღება კონცენტრირებულია იმაზე, თუ რა კრიტერიუმებით დაიკავებს ესა თუ ის კანდიდატურა ამ თანამდებობას. ნაკლები ყურადღება ექცევა პროგრამებს. მე გავაცნობ ჩემს ხედვას აუცილებელი სასამართლო რეფორმის თაობაზე, რასაც მსოფლიო თანამეგობრობა, მათ შორის, ქართველი ხალხი ათეული წელია ითხოვს. სასამართლო რეფორმების გარეშე არ იქნება მშვიდობა და კეთილდღეობა. ეს არის აქსიომა, რომელსაც ყველა გაგებით უნდა მოეკიდოს.

— ეს იმას ხომ არ ნიშნავს, რომ თქვენ თამაშობთ ცალმხრივ თამაშს?

— ამიტომაც ვქადაგებ თავისუფლებას, თითოეულმა ფაქტები შეაფასოს და გამოიტანოს თავისი დასკვნები. ფაქტია, მხოლოდ პოლიტიკური ჯგუფების ნაწილი ჩაერთო ამ კამპანიაში. ის სტერეოტიპი, რომელიც დაინერგა საზოგადოებაში, რომ თითქოს პოლიტიკური ნიშნით ადამიანების შერჩევა მართლმსაჯულების სფეროში არ შეიძლება, თავიდან ბოლომდე სეგრეგაციული და დისკრიმინაციულია. კონსტიტუციის 26-ე მუხლი პირდაპირ უშვებს, რომ პოლიტიკური საქმიანობა არის კონსტიტუციური საქმიანობა და მათ ერთ მუხლში ათავსებს. თუ ყოფილი პროკურორისთვის შეიძლება ჟურნალისტობა, ვიღაცისთვის შეიძლება პოლიტიკოსობაც და მოსამართლეობაც.

— ამ გადაწყვეტილების თაობაზე თქვენს კოლეგებს თუ ესაუბრეთ?

— არა. იმ კრიტერიუმების თაობაზეც „ქართულ ოცნებაში“ საუბარი არ ყოფილა. თუმცა, კრიტერიუმები არ ეწინააღმდეგება ჩემი კანდიდატურის დასახელების ფაქტს. პრეზიდენტ მარგველაშვილისაგან დისკრიმინაციას გამოვრიცხავ. ეს არის კონსტიტუციური საქმიანობა. უახლოეს დღეებში პრეზიდენტის ადმინისტრაცია აპირებს, გაასაჯაროვოს ინფორმაცია საინიციატივო ჯგუფების თაობაზე.

— რა მიზეზით შეიძლება პრეზიდენტმა უარი თქვას თქვენს კანდიდატურაზე?

— პრეზიდენტი შეზღუდულია კანდიდატურის შერჩევაში, ის ვალდებულია, პარლამენტში ერთი კანდიდატურა წარადგინოს. თუმცა, წარდგენილი კანდიდატურების სიმრავლეა. მათ შორის, ბევრი ღირსეული კანდიდატია. მაგალითად, სასამართლო ხელისუფლებიდან ქალბატონი ნათია წკეპლაძე და ქალბატონი ევა გოცირიძე ღირსეული კანდიდატებია. ასევე შემიძლია არასასამართლო ხელისუფლებიდან დავასახელო ბატონი შალვა შავგულიძე და თინიკო ხიდაშელი. ვინც თავისი საქმიანობით, კომპეტენტურობით, საქმეებით ადასტურებენ იურისტის პროფესიისადმი პატივისცემას.

— უმრავლესობიდან არავის დაკავშირებიხართ, როდესაც ამ გადაწყვეტილებას იღებდით?

— აქ მთავარია, ვისთან გაქვთ საქმე, თავისუფალ ადამიანთან თუ მონასთან. მონა თავისუფალ ქვეყანას ვერ ააშენებს. ჩემი გადაწყვეტილების თაობაზე ცნობილია პრეზიდენტ გიორგი მარგველაშვილისა და პრემიერ ირაკლი ღარიბაშვილისათვის. პოლიტკორექტულობას არასოდეს ვარღვევ.

თანატოლების დაჭრის ფაქტზე პოლიციამ არასრულწლოვანი დააკავა

შინაგან საქმეთა სამინისტროს ვაკე-საბურთალოს სამმართველოს მე-4 განყოფილების თანამშრომლებმა, ცხელ კვალზე ჩატარებული ოპერატიულ-სამძიებო მოქმედებების შედეგად, ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანების ბრალდებით, 1999 წელს დაბადებული ტარიელ უ. დააკავეს.

უწყების პრესსამსახურის ინფორმაციით, გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულმა, ორი არასრულწლოვანი — პარალელური კლასელები ცივი იარაღით დაჭრა და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა.

დაჭრილი მოზარდები სასწრაფო სამედიცინო დახმარების თანამშრომლებმა საავადმყოფოში გადაიყვანეს.

სამართალდამცველებმა დანაშაულში ბრალდებული პირი მომხდარიდან რამდენიმე საათში დააკავეს.

გამოძიება ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანების ფაქტზე, საქართველოს სსკ-ს 117-ე მუხლის 1-ლი ნაწილით მიმდინარეობს.

მედიანიუსი

ლევან ჩაჩუა: ჟვანიასა და უსუპოვის გვამებს არანაირი გარეგანი დაზიანებები არ ჰქონდა“

„გვამებს არანაირი გარეგანი დაზიანებები არ ჰქონდათ, სრული პასუხისმგებლობით ვამბობ“-ამის შესახებ განცხადება,ზურაბ ჟვანიას საქმის ექსპერტმა ლევან ჩაჩუამ , საქალაქო სასამართლში დაკითხვისას გააკეთა. მან დეტალურად აღწერა ზურაბ ჟვანიას გარდაცვალების დღეს განვითარებული მოვლენები. ჩაჩუას განცხადებით, ის ლევან სამხარაულის ზარმა გააღვიძა, შეატყობინა, რომ ზურაბ ჟვანია გარდაიცვალა და რესპუბლიკური საავადმყოფოს პროზექტურაში მისვლა სთხოვა.მისი თქმით ადგილზე ჯერ ჟვანიას, შემდეგ კი იუსუპოვის გვამი მიასვენეს. მისი თქმით, მას შემდეგ რაც დარწმუნდა, რომ გვამებს დაზიანება არ აღენიშნებოდა და მათი დათვალიერება დაასრულა გადაწყვიტა ლაბორატორიული სინჯების აღება.

„დაახლოებით 30 კაცი იყო პროზექტურაში, პრემიერ-მინისტრის კოლეგები და ახლობლები. იქ მოვიდა ნინო ქადაგიძე, გვამს ვერ ვაშორებდით, ეფერებოდა მას და ტიროდა. როდესაც გავიყვანეთ ხალხი შემდეგ დავიწყეთ დათვალიერება“-განაცხადა ლევან ჩაჩუამ .

ექსპერტის თქმით, გვამების დათვალიერებისას მან ყოფილ პრემიერს პერანგი შეუხსნა, რომელიც 3 ღილზე ჰქონდა შეკრული და მისი გვამის დათვალიერება 4 საათს გაგრძელდა.ჩაჩუას თქმით როგორც ჟვანიას, ისე იუსუპოვს კანზე გვამური მოვლენები აღენიშნებოდათ.რაც შეეხება ჟვანიას ტუჩთან არსებულ დაზხიანებას, ექსპერტის განმარტებით, ეს დაზიანება გამოწვეული იყო ბალზამირების შედეგად. ჩაჩუას თქმით ის იუსუპოვის ექსპერტიზაზე მარტო იყო, რადგან ჟვანიას გვამის დათვალიერების შემდეგ პროზექტურა ყველამ დატოვა.ჩაჩუამ ასევე განმარტა, რომ იუსუპოვის სხეულში ე.წ. ნახშირჟანგი 76%-ს შეადგენდა.

პირველი

მესაზღვრეებმა რუსეთის დროშით მცურავი გემი დააკავეს

შინაგან საქმეთა სამინისტროს სასაზღვრო პოლიციის წარმომადგენლებმა, გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის თანამშრომლებთან ერთად, შავი ზღვის დაცვის კონვენციური სამსახურისა და ფოთის საზღვაო ნავმისადგომთან, რუსეთის დროშის ქვეშ მცურავი გემი, ზღვის გარემოს დაბინძურების ფაქტზე დააკავეს.

მცურავმა საშუალებამ, ზღვაში სამეურნეო-ფეკალური წყლების ჩაღვრა მოახდინა. აღნიშნული გემის კაპიტანი 65 000 ლარით დაჯარიმდა. ფოთის საქალაქო სასამართლომ სამართალდამრღვევს როგორც ჯარიმის, ასევე გარემოსთვის მიყენებული ზიანის 594 ლარის გადახდა დააკისრა.

გემი საქართველოს ტერიტორიულ წყლებს ჯარიმისა და ზიანის თანხის გადახდის შემდეგ დატოვებს.

ნიუსპრესი

უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეობა 28 ადამიანს სურს

ნათია ხურცილავა

23 თებერვალს პრეზიდენტი უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის კანდიდატს დაასახელებს.

ვინ არიან უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეობის კანდიდატები? პრეზიდენტის ადმინისტრაციამ მათი სია გამოაქვეყნა.

36 წარდგენილ პირთაგან 8-მ თავისი კანდიდატურის განხილვაზე უარი განაცხადა.

28-კაციანი სია კი ასე გამოიყურება:

1. დავით ასათიანი, 2. მამუკა ახვლედიანი, 3. ირაკლი ბურდული, 4. მერაბ გაბინაშვილი, 5. გოჩა გოგიშვილი, 6. ნინო გვენეტაძე, 7. ევა გოცირიძე, 8. ანა დოლიძე, 9. ინგა თოდრია, 10. ავთანდილ კახნიაშვილი, 11. დავით კოღუაშვილი, 12. ალექსი კობაიძე, 13. კობა კობახიძე, 14. თამარ ლალიაშვილი, 15. გია მეფარიშვილი, 16. როინ მიგრიაული, 17. მამუკა მდინარაძე, 18. ნოდარ მილაძე, 19. ლევან მურუსიძე, 20. მურმან ქამადაძე, 21. ზაქარია ქუცნაშვილი, 22. მადონა ღიბრაძე, 23. შალვა შავგულიძე, 24. მარიამ ცისკაძე, 25. მარინე ჭყონია, 26.. რომული ჯაფარიძე, 27. თეიმურაზ ჯორბენაძე, 28. გიორგი ჯუღელი.

კანდიდატობაზე უარი თქვა ჯონი ხეცურიანმა. ის პრეზიდენტის ადმინისტრაციის მიერ გამოქვეყნებულ სიაში არ აღმოჩნდა, რადგან ხეცურიანის შესახებ მხოლოდ სატელევიზიო განცხადება გაკეთდა და ადმინისტრაციაში მისი კანდიდატურა წერილობით არ შესულა.

პირად წარდგინებაზე უარი განაცხადეს: დარეჯან გოგიბერიძემ, ნუნუ კვანტალიანმა, დავით მამისეიშვილმა, დავით სულაქველიძემ, იური ტაბუცაძემ, ნათია წკეპლაძემ, ლადო ჭანტურიამ და თინათინ ხიდაშელმა.

პრეზიდენტის საპარლამენტო მდივან გიორგი კვერენჩხილაძის განცხადებით, აღნიშნული პოსტისთვის შემუშავებული კრიტერიუმი, მათ შორის, პარტიული გავლენისგან თავისუფლება, ძალაში რჩება.

— ამის გათვალისწინებით, აქვს თუ არა შანსი საპარლამენტო უმრავლესობის დეპუტატ ზაქარია ქუცნაშვილს?

ამ კითხვას კვერენჩხილაძემ პირდაპირი პასუხი ვერ გასცა.

— უკვე არსებობს 28 კანდიდატის სია. დღეიდან, პირობითად, მეორე ეტაპი იწყება, რომელიც გულისხმობს შემდეგს: პრეზიდენტის ადმინისტრაციის მიერ, იმ კრიტერიუმების შესაბამისად, რომლებიც საპარლამენტო პოლიტიკური ძალებისა და არასამთავრობოების ფართო ნაწილის მიერ შემუშავდა, დაიწყება კანდიდატის შერჩევა. — განაცხადა გიორგი კვერენჩხილაძემ.

კვერენჩხილაძის განმარტებით, კანდიდატის შერჩევა მოხდება კანონის მიერ დადგენილი ცენზების შესაბამისად და 1 კანდიდატურა დასახელდება არაუგვიანეს 23 თებერვლისა, როდესაც უზენაესი სასამართლოს მოქმედ თავმჯდომარეს უფლებამოსილების ვადა ეწურება.

კანდიდატები ძირითადად არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებმა და ადვოკატებმა დაასახელეს. 28 პირიდან ოთხმა პრეზიდენტს საკუთარი თავი პირადი წარდგინების საფუძველზე შესთავაზა, ორი კანდიდატი კი მოსამართლეთა საინიციატივო ჯგუფებმა დაასახელეს.

კანონით გათვალისწინებულია, რომ პრეზიდენტმა პარლამენტს ახალი თავმჯდომარის კანდიდატი დასამტკიცებლად მოქმედი თავმჯდომარის უფლებამოსილების ვადის ამოწურვამდე უნდა წარუდგინოს.

ახალი თაობა

www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

იური ვაზაგაშვილის საქმეზე პროკურატურა ახალ მტკიცებულებებს წარმოადგენს

ზაზა ალთუნაშვილი: „ხელყუმბარის აფეთქების შედეგად დნმ არ განადგურდებოდა“

გულიკო ბალაძე

იური ვაზაგაშვილის საქმეში ოჯახის თხოვნით კრიმინალისტური ექსპერტი ზაზა ალთუნაშვილია ჩართული. ამ დღეებში იური ვაზაგაშვილის მკვლელობის ბრალდებით დაპატიმრებული სოსანაშვილის ადვოკატმა ეჭვი გამოთქვა, რომ შეუძლებელი იყო, აფეთქების შემდეგ იმ ვითარებაში სოსანაშვილის დნმ აღმოეჩინათ. ზაზა ალთუნაშვილმა პორტალ „კვირის“ პრესკლუბში ჟურნალისტებთან შეხვედრის დროს დაწვრილებით აღწერა იმ ასაფეთქებელი მოწყობილობის მოქმედების გარემოებები, რითაც იური ვაზაგაშვილი ააფეთქეს. ექსპერტმა უპასუხა ჟურნალისტების კითხვებს.

— ბატონო ზაზა, პროკურატურამ განაცხადა, რომ ასაფეთქებელი მოწყობილობის ფალიის სახელურზე არსებულ წებოვან გარსზე აღმოაჩინეს დნმ. თქვენ რა შეგიძლიათ თქვათ ამასთან დაკავშირებით?

— პირველივე წუთებიდან ჩართული ვიყავი შემთხვევის ადგილის დათვალიერებაში. მონაწილეობა მივიღე ნივთიერი მტკიცებულებების ამოღებისა და შემდგომში ამ ნივთიერი მტკიცებულებების ექსპერტიზის ბიუროში გადაგზავნის პროცესში. ასევე მონაწილეობა მივიღე ნივთიერი მტკიცებულებების დახარისხებაში. ძალიან ბევრი საკვლევი ობიექტია ამოღებული. დღესდღეობით ექსპერტიზა ისევ მიმდინარეობს. ამ ეტაპზე პროკურატურამ გაამჟღავნა ექსპერტიზის წინასწარი შედეგები. ახლა არის ექსპერტიზების რაღაც ეტაპი. შემდგომ ეტაპზე პროკურატურა უფრო ბევრ მასალას წარმოადგენს.

— ამ მტკიცებულებებში არის თუ არა ფალიის სახელური? მთავარი პროკურორის მოადგილე ირაკლი შოთაძემ აღნიშნა, რომ გაუმართლათ, რადგან ფალიის სახელურზე დნმ-ის ნაკვალევი აღმოაჩინეს. მკვლელობაში ბრალდებულის ადვოკატმა განაცხადა, რომ აფეთქებისას წარმოშობილი მაღალი ტემპერატურის პირობებში არ შეიძლებოდა დნმ-ის კვალი დარჩენილიყო. როგორც სპეციალისტი, რას იტყოდით ამასთან დაკავშირებით?

— აღმოჩენილი იქნა ასაფეთქებელი მოწყობილობის დეტალები. ხშირად ისმებოდა კითხვები, რა დეტალებზე იყო საუბარი. მთავარი პროკურორის მოადგილემ ზუსტად ისეთ დეტალზე მიუთითა, რომლიდანაც ამოღებული იქნა დნმ შემდგომი კვლევისათვის და პიროვნების იდენტიფიკაციისთვის. ადვოკატის განცხადება, რომ შეუძლებელი იყო აფეთქების შემდეგ ამ ასაფეთქებელი მოწყობილობის დეტალზე დნმ-ის კვალი აღმოჩენილიყო, არაკვალიფიციური განცხადებაა. ადვოკატი არ არის იმ დარგის სპეციალისტი, რომელიც ეხება აფეთქებებს. ადამიანმა უნდა იცოდეს, აღნიშნული ხელყუმბარა რა სახეობის იყო. იმ ხელყუმბარის აფეთქების პრინციპი ისეთი ცნებაა, რომ უნდა იცოდე, რასთან გვაქვს საქმე. აღნიშნული ხელყუმბარის მოქ-

მედების არეალი სულ სხვაა. ეს განიხილება, როგორც აფეთქების საშუალება და ასაფეთქებელი საშუალება. რა იყო გამოყენებული აფეთქების საშუალებად? ეს მოწყობილობა მთლიანობაში წარმოადგენს მოწყობილობას, რომლის აფეთქების შემდეგ ერთი დეტაილ არ ხვდება აფეთქების კერაში და არ არის იმ ტემპერატურის გავლენის ქვეშ, რომ ზემოქმედება მომხდარიყო. თავისთავად ეს ასაფეთქებელი ხელყუმბარა წარმოადგენს ფუგასური მოქმედების ასაფეთქებელ მოწყობილობას, რომლის მოქმედების პრინციპი დამყარებულია არათერმულ ელემენტებზე, არამედ ეს არის ბრიზანტური მოქმედების ფეთქებადი ნივთიერება და მისი ე.წ. წვა კი არ ხდება, არამედ მისი აფეთქება დეტონაციის საშუალებით ხდება. ალბათ, ადვოკატი შეცდომაშია შეყვანილი. ფილმებში ჩანს, რომ ამ ხელყუმბარის აფეთქებას თან ახლავს ბოლი, ცეცხლი. ეს სპეცეფექტებია. რეალურად, ამ ხელყუმბარის აფეთქების დროს, დიდი ტემპერატურის გამოვლინება არ ხდება.

— ეს ნიშნავს იმას, რომ ვინც ეს გააკეთა, ხელთათმნის გარეშე მოქმედებდა?

— პროკურატურამ გამოიყენა ყველა საშუალება. ალბათ, პროკურატურა კიდევ სხვა მტკიცებულებებსაც წარადგენს. მე ისევ ჩართული ვარ. ექსპერტიზები გრძელდება და პროკურატურა სხვა მტკიცებულებებსაც დადებს აღნიშნულ საქმესთან დაკავშირებით.

— დნმ, კონკრეტულად, საიდან იქნა ამოღებული?

— როგორც მთავარი პროკურორის მოადგილემ განაცხადა, დნმ ამოღებულ იქნა ლითონის ბერკეტიდან, რომელიც წარმოადგენს ფალიის შემადგენელ ნაწილს. ეს ფალია არის მექანიკური ამფეთქებელი, რომლის საშუალებითაც დეტონაციაში მოდის ხელყუმბარა. მისი მოქმედების პრინციპიდან გამომდინარე, ეს არის გამშვები ბერკეტი, რომლის ამოძრობის შედეგად, კორპუსიდან მოცილების შედეგად, საბრძოლო ხელყუმბარა მოდის მოქმედებაში. ეს ნიშნავს იმას, რომ ბერკეტზე აუცილებლად ხდება ხელით შეხება, რომ ხელყუმბარა საბრძოლო მდგომარეობაში მოვიდეს. მისი მოცილების შედეგად ასაფეთქებელი მოწყობილობიდან ეს ბერკეტი სცილდება და რამდენიმე მეტრის მოშორებით აღმოჩნდება. აფეთქება ხდება შემდგომ, დაყოვნებით 3,2-დან 4,2 წამამდე. აფეთქების სიჩქარე იმდენად დიდია, რომ ხელყუმბარის აფეთქების შედეგად აფეთქების საწყისი სიჩქარე 700-720-ია. ტემპერატურის ზემოქმედებაზე როცა ვსაუბრობთ, უნდა ვიცოდეთ, რომ ამოღებული იქნა ყვავილები, რომელიც იქ იყო. ძალიან ბევრი ობიექტი იქნა ამოღებული. ეს ნივთმტკიცებებია, მაგრამ გამოკვლევის სტადიაშია. დარწმუნებული ვარ, კიდევ იქნება მტკიცებულებები, რომელიც ამ საქმეს უფრო და უფრო გაამყარებს.

— ექსპერტიზები სად ტარდება?

— ექსპერტიზები ტარდება სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ბიუროში, რომელიც აღჭურვილია შესაბამისი ტექნიკით, ტექნოლოგიებით, სპეციალისტებით. ასეთი ლაბორატორია ამიერკავკასიაში პირველია. ამ ლაბორატორიის აღჭურვა მოხდა ამერიკის დახმარებით. მათ გაცემულ დასკვნაში ეჭვი არ მეპარება.

— ბრალდებულს როდის აუღეს დნმ და როგორ მოხდა დამთხვევა?

— საზოგადოება სწრაფ გამოძიებას მოითხოვს. გამოძიების მიერ ჩვენთან ერთად განისაზღვრა ის პრიორიტეტები, პირველ რიგში, რომელი სახის ექსპერტიზები უნდა ჩატარებულიყო. ეს ნიშნავს იმას, რომ გამოძიებისა და ოპერატიული სამსახურებისთვის სამუშაო ვარიანტი შემუშავდა. ვინაიდან შესაძლებელი იყო იდენტიფიკაციისთვის ვარგისი კვლების დადგენა, ამ შემთხვევაში, პირველ რიგში, მოხდა გამშვები ბერკეტიდან ამოღებული დნმ ექსპერტიზა. შემდგომ ეტაპზე, როგორც პროკურატურამ განაცხადა, გაგრძელდა ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებები და კონკრეტული პიროვნებების გამოკვეთის შემდეგ შესაძლებლობა მიეცათ, ჩაეტარებინათ ტესტი. ერთ-ერთ პიროვნებაზე ტესტი დადებითი იყო ნივთიერი მტკიცებულებების გამოკვლევის შემდეგ დადგინდა, რომ ამ აფეთქებასთან შეხებაშია ის პიროვნება, რომელიც დააკავეს. დნმ სავარაუდო მტკიცებულება არ არის, კატეგორიული მტკიცებულებაა.

— ფალიის სახელური ერთადერთი მტკიცებულებაა?

— ამჟამად მთელი ექსპერტიზების ძალიან მცირე ნაწილია ჩატარებული. იმ ბერკეტზე, რომელზეც დნმ იქნა აღმოჩენილი, სხვა სახის ექსპერტიზებია ჩასატარებელი. სხვა სპეციალისტები ისევ იკვლევენ ამ ბერკეტს.

— როგორც სპეციალისტი, რას იტყვით, ხელყუმბარა საბრძოლო მოქმედებაში იყო მოყვანილი, როდესაც იური ვაზაგაშვილი მივიდა თუ რანაირად მოხდა აფეთქება?

— საბრძოლო ხელყუმბარის გადაადგილება, ტრანსპორტირება არის უსაფრთხო, თუ ის არ არის საბრძოლო მდგომარეობაში მოყვანილი. საბრძოლო ხელყუმბარა შეიძლება იყოს წლების განმავლობაში და არაფერი მოუვიდეს. აღნიშნული ხელყუმბარა ისეთი დანიშნულებისაა, რომ ცეცხლშიც არ იწვება. მასში გამოყენებულია ტროტილი, ფეთქებადი ნივთიერება. მასში დეტონაციამ უნდა გაიაროს. მაინიცირებელი ნივთიერება უნდა აფეთქდეს. შემდგომ მოდის მოქმედებაში. ამ შემთხვევაში თვითონ ის მოწყობილობა, ფალია არის დეტონაციის მაინიცირებელი საშუალება. თუ ის არ მოვიდა საბრძოლო მდგომარეობაში, თუ არ დაიქოქა, ისე არ აფეთქდება. ხელყუმბარა საბრძოლო მდგომარეობაში რომ მოვიდეს, აუცილებელია, დამცავი რგოლი გამოძრობილი ჰქონდეს. თუ დამცავი რგოლი გამოძრობილი არ აქვს, ის მაინც არ აფეთქდება. ის უნდა გეკავოს დაფიქსირებულ მდგომარეობაში, რომ არ მისცე საშუალება, აფეთქდეს. აღნიშნული ხელყუმბარა საბრძოლო მდგომარეობაში მოყვანილ იქნა, განთავსებულ იქნა იმ ადგილზე და, როდესაც მასზე მოხდა ფიზიკური ზემოქმედება, აფეთქდა. თუ არ მოიყვანე საბრძოლო მდგომარეობაში, ტანკმა რომ გადაუაროს, არ აფეთქდება.

— საბრძოლო მდგომარეობაში მოყვანის შემდეგ, თუ, ვთქვათ, ერთი დღე გავიდა და არავინ მივიდა, მაშინ რა იქნება?

— თუ მექანიკური ზემოქმედება არ მოხდა, 10 წელიც რომ გავიდეს, შეიძლება, არაფერი მოუვიდეს. საბრძოლო მდგომარეობაში მოყვანილ ხელყუმბარას სჭირდება მცირე ინიცირება, რომ გათავისუფდეს მისი დამჭიმი ზამბარის საშუალებით (ის დაჭიმულია ყოველთვის) ბერკეტი. სულ მცირე შეეხება სჭირდება, რომ ბერკეტი გათავისუფლდეს. შეეხება თუ არა ვინმე, მაშინვე იწყება აფეთქება. აღნიშნულ ხელყუმბარას აქვს ფუგასური მოქმედება, რაც, იმის გარდა, რომ იწვევს ნამსხვრევებით მსხვერპლით დაზიანებას, ასევე მას აქვს დარტყმის ტალღა და მოქმედებს გარშემომყოფებზე. მისი ფუგასური მოქმედება არის 3-5 მეტრის რადიუსი. ფუგასური დაზიანებები არის. საშიშია. ფაქტობრივად, პროკურატურას ამ მტკიცებულებამდე ჰქონდა ოპერატიული ინფორმაცია.

საკრებულოს დეპუტატმა 5 თვეში 4 ტონა საწვავი მოიხმარა“

თბილისის საკრებულოს დეპუტატმა გიორგი ტყემალაძემ 5 თვეში 4 ტონა საწვავი მოიხმარა. ამის შესახებ ინფორმაციას მონიტორინგის ქსელ „მედიატორის“ დამფუძნებელი ლევან ხაბეიშვილი ავრცელებს, ხაბეიშვილმა ინფორმაციის საფუძვლად მერიიდან გამოთხოვოლი დოკუმენტი დაასახელა. „ჩვენ გამოვითხოვეთ საკრებულოს საწვავის ხარჯები 2014 წლის 1 აგვისტოდან 31 დეკემბრის ჩათვლით. „რეკორდსმენი“ აღმოჩნდა გიორგი ტყემალაძე, რომელიც ამჟამად საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეა. მან 4 ტონა ბენზინი დახარჯა ამ 5 თვის განმავლობაში. გამოდის, რომ ბატონი ტყემალაძე დღეში 22 ლიტრ ბენზინს მოიხმარდა. აღსანიშნავია, რომ ამ ადამიანს ემსახურება ავტომობილი „კია“, რომელიც იმიტომ შეარჩიეს, რომ ნაკლებ საწვავს მოიხმარს. გამოდის, რომ ეს ადამიანი დღეში 200 კილომეტრს გადიოდა, რაც საკრებულოს დეპუტატისთვის არარეალურია“, — აცხადებს ხაბეიშვილი.

პირველი რადიო

კვირიკაშვილი ლარის კურსზე: ჩვენ აბსოლუტურად ვფლობთ სიტუაციას“

ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის გიორგი კვირიკაშვილის განცხადებით, ლარის კურსთან დაკავშირებით ვითარება სტაბილურია. ვიცე-პრემიერის თქმით, ვითარება მარტივი არ არის, თუმცა ხელისუფლება მის მართვას ახერხებს. მისივე თქმით, ხელისუფლებას საგადამხდელო ბალანსის დეფიციტის დაბალენსებისთვის კონკრეტული ნაბიჯები და სამოქმედო გეგმა გააჩნია. მინისტრის განმარტებით, ამ ნაბიჯების გადადგმა დაწყებულია, კონკრეტული სამოქმედო გეგმა დღეს უკვე ხორციელდება, უბრალოდ მისი შედეგები მყისიერი არ არის. კითხვაზე, იგეგმება თუ არა ბიუჯეტის კორექტირება, მინისტრმა განაცხადა, რომ გადაწყვეტილება მას შემდეგ იქნება მიღებული, რაც პირველი კვარტლის მონაცემები დაჯამდება.

„რაც შეეხება ლარის კურსს, უნდა ვთქვა, რომ ჩვენ აბსოლუტურად ვფლობთ სიტუაციას. გვესმის, რომ სიტუაცია მარტივი არ არის, ამას ვაცნობიერებთ. ვაცნობიერებთ იმ გამოწვევებს რაც გვაქვს და ერთიანი კოორდინაციით ვუდგებით ამ საკითხს. ვიცით, რა უნდა გავაკეთოთ იმისთვის, რომ დავაბალანსოთ საგადამხდელო ბალანსის დეფიციტი და კონკრეტული ნაბიჯები და სამოქმედო გეგმა გვაქვს დამატებითი საინვესტიციო პროექტების კუთხით, ტურიზმისა და ექსპორტის წახალისების კუთხით.ჩვენ ვფიქრობთ, რომ რამდენიმე თვეში კონკრეტული შედეგები იქნება ამ მიმართულებით, კოორდინაცია გვაქვს, კარგად ვაცნობიებებთ სიტუაციას და ძალიან კარგად ვხედავთ იმ ნაბიჯებს რაც გადასადგმელია. ამ მიმართულებით კონკრეტულ ქმედებებს ვახორციელებთ. მე პირადად, როგორც ეკონომიკის მინისტრი, რა თქმა უნდა, ძალიან შეწუხებული ვარ იმასთან დაკავშირებით, რომ დოლარში სესხის მქონე კომპანიებს და ადამიანებს ხარჯები გაუძვირდათ, მაგრამ ეს არის კონკრეტული გარემოებიდან გამომდინარე და ჩვენ ამ ეფექტების განეიტრალებაზე აქტიურად ვმუშაობთ“, — განაცხადა გიორგი კვირიკაშვილმა.

პირველი რადიო

თბილისის სკოლაში ტუბერკულოზით 16 მოსწავლე დაინფიცირდა

16 მოსწავლე დაინფიცირდა ტუბერკულოზით თბილისში. ყველა მათგანი 69-ე საჯარო სკოლის მოსწავლეები არიან. ინფორმაციას „მაესტრო“ ავრცელებს. სავარაუდოდ. ინფექციის გავრცელების მიზეზი ერთ-ერთი მოსწავლე გახდა, რომელსაც ამ დაავადების ღია ფორმა, იგივე გადამდები ტუბერკულოზი აღენიშნებოდა, თუმცა სკოლაში ინფორმირებული არავინ იყო. ერთ-ერთი მშობლის განცხადებით, შემთხვევა 69-ე საჯარო სკოლაში გასულ კვირას დაფიქსირდა და ჩატარდა სადეზინფექციო სამუშაოებიც, თუმცა სასწავლო პროცესი არ შეჩერებულა. როგორც დაავადებათა კონტროლის ეროვნულ ცენტრში და განათლების სამინისტროში აცხადებენ, შექმნილია სპეციალური ჯგუფი, რომელიც მუშაობს საკითხზე და უახლოეს დღეებში გაირკვევა შეწყდება თუ არა სასწავლო პროცესი 69-ე საჯარო სკოლაში.

პირველი რადიო

გახდომა–გასუქება 5–20 კგ–ით თვეში!

[illegible]

სიმაღლეში ზრდის უახლესი, სწრაფი და ეფექტური პროგრამები 1–დან 25 წლამდე

[illegible] 3-5 [illegible]

ქ-ნი [illegible]

მის. მეტრო „დიდუბე“, წერეთლის ქ. 142, I სართული, კაბინეტი №6

☎ 577-29-37-41, 247-58-83

რა საიდუმლო იცოდა გენერალმა კრიალაშვილმა სააკაშვილის შესახებ?

ლია კრიალაშვილი: „ჩემს ძმას სააკაშვილის სკანდალური აუდიოჩანაწერი მოასმენინეს"

შორენა მარსაგიშვილი

გასული წლის თებერვალში გავრცელდა ვიდეო, რომელშიც ვანო მერაბიშვილი 2 გვამს ითხოვდა და დიდი პრემიების გაცემის პირობას დებდა. ეს ვიდეო 2009 წლის 5 მაისს იყო გადაღებული, ე.წ. მუხროვანის ამბოხების დღეს. არსებული ინფორმაციით, ყოფილი შს მინისტრი გია კრიალაშვილისა და კობა ოთანაძის გვამებს ითხოვდა. კრიალაშვილი მოკლეს. ოთანაძე ძლივს გადაარჩინეს ექიმებმა. ამ ვიდეოს გავრცელების შემდეგ პროკურატურა საქმის გამოძიებას შეუდგა. რა ეტაპზეა გამოძიება, ვინ მფარველობს დამნაშავეებს? – ამის შესახებ „ახალ თაობას" გია კრიალაშვილის და, ლია კრიალაშვილი, ესაუბრება.

ლია კრიალაშვილი:

– ჩემი ძმის საქმეზე დღემდე მიმდინარეობს გამოძიება. რამდენადაც ვიცი, იმ ტყვიების ბალისტიკური ექსპერტიზა მიმდინარეობს, რომლებიც გიას მკვლელობის ადგილიდან იქნა ამოღებული. მეუბნებიან, სანამ ექსპერტიზა არ დამთავრდება, დასკვნას ვერ დავდებთო. ამ საქმეზე დაზარალებულად უნდა ვეცნე, მაგრამ პროცესი გაჩერდა.

– რა მიზეზით?

– ბოლო დროს პროკურატურა ვაზაგაშვილის საქმეებზე გადაერთო და ამ საქმისთვის ვეღარ მოიცალეს. გასულ კვირას უნდა შევხვედროდი პროკურორ რევაზ ნადოის. ამ საქმეების გამო ჩვენი შეხვედრა გადაიდო და მეც გაურკვევლობაში ვარ, თან – იმედგაცრუებულიც. შარშან რომ დაიწყეს ამ საქმის გამოძიება, 2 თვის თავზე ბოდიში მომიხადეს, გაგვიჭიანურდაო. და აი, ხომ ხედავთ, ერთი წელი გავიდა უკვე...

– თქვენ როგორ ფიქრობთ, რატომ ჭიანურდება ამ საქმის გახსნა?

– ნამდვილად არ მინდა იმის დაჯერება, რომ ამის პოლიტიკური ნება არ არის. აქამდე მართლაც ასე იყო, მაგრამ ახლა ვითარება შეიცვალა. იური ვაზაგაშვილის მკვლელობამ ბევრი რამ შეცვალა. გამიჩნდა იმედი, რომ გახმაურებული საქმეების გამოძიება მოხდება. ამასთან, დამნაშავეთა მფარველები ჯერ კიდევ სხედან მაღალ თანამდებობებზეც.

– თქვენი ძმის საქმეშიც ასეთ რამეს აქვს ადგილი?

– სამწუხაროდ, ასეა. ეს ადამიანები ყველანაირად შეეცდებიან, გამოძიებას ხელი შეუშალონ.

– ცოტა ხნის წინ განაცხადეთ, რომ ბიძინა ივანიშვილამდე არასწორი ინფორმაციები მიდის. რას გულისხმობდით?

– საქართველოში ბოლო დროს უცნაური პროცესები ხდება. ამან დამარწმუნა, რომ ივანიშვილამდე არ მიდის სწორი ინფორმაცია. ის ვერ ფლობს სრულ ინფორმაციას ქვეყანაში არსებულ ვითარებაზე. მას სიცრუეში ამყოფებენ და უმტკიცებენ, თითქოს ყველაფერი კარგად არის.

– რატომ გგონიათ, რომ სიმართლეს არ ეუბნებიან?

– ივანიშვილს დამნაშავეების დაფარვის შესახებ დეტალურად რომ ჰქონდეს ინფორმაცია, აქ ცოტა სხვა პროცესები წავიდოდა. სიკვდილამდე ცოტა ხნით ადრე მას შეხვდა იური ვაზაგაშვილი. ცხონებულმა ყოფილ პრემიერს უთხრა, რომ მკვლელები და მათი მფარველები თანამდებობებზე რჩებოდნენ. ამაზე ბიძინას საშინლად მკვეთრი რეაქცია ჰქონია, გადაირია კინაღამ კაცი. მე როგორც მითხრეს, ექსპრემიერმა ბევრი რამე არ იცის.

– რომც იცოდეს ივანიშვილმა ბევრი რამ, რას შეცვლის? ოფიციალურად ის აღარ არის პრემიერი.

– მესმის, რომ პრემიერი აღარ არის, მაგრამ მის სიტყვას ძალიან დიდი ძალა აქვს. რამდენადაც ჩემთვის გახდა ცნობილი, ექსპრემიერი გახმაურებული საქმეების გამოძიებით სერიოზულად დაინტერესდა. ეს მაძლევს იმის იმედს, რომ სიმართლე გაირკვევა და დამნაშავეები დაისჯებიან.

– თქვენ ვერ მოახერხეთ ივანიშვილთან შეხვედრა?

– ვერა. არც მიცდია. ვინ შემიშვებს მასთან, თორემ დიდი სიამოვნებით შევხვდებოდი. ირაკლი ღარიბაშვილთანაც მინდა შეხვედრა, მაგრამ ვერ ვახერხებ. სადღაც გული მწყდება, რომ თავის დროზე ივანიშვილი მე არ შემხვდა. პოლიტიკაში მოსვლის გადაწყვეტილება რომ მიიღო, ის შვილმკვდარ მშობლებს შეხვდა. მე არ მიმიწვიეს იმ შეხვედრაზე. არადა, ჩემი ძმა იმ რეჟიმმა პოლიტიკური ნიშნით მოკლა, მაგრამ არც იმათ აქვთ ხეირი, ვინც ცოცხლები გადარჩნენ და ციხიდან პოლიტიკური პატიმრის სტატუსით გამოუშვეს. სამსახურს ვერ შოულობენ ეს ბიჭები, არავინ იკარებს მათ. ეს ბიჭები იმასაც კი ამბობენ, ჯობდა, ციხეში ვყოფილიყავით, იმათ ხარჯზე მაინც ვცხოვრობდით. ახლა კი ოჯახს ტვირთად დავაწექითო.

– პოლიტპატიმრის სტატუსით 200-მდე ადამიანი გამოვიდა ციხიდან. თქვენ კონკრეტულად ვისზე საუბრობთ?

– იმ ბიჭებზე, რომლებიც ე.წ. მუხროვანის ამბოხის ბრალდებით დააკავეს. ისინი ირაკლი ალასანიასთანაც მივიდნენ, სამსახურის დაწყება სურდათ, მაგრამ მან უარით გამოისტუმრა.

– რატომ უთხრა მათ ალასანიამ უარი?

– უთხრა, გადატრიალებაში ხართ შემჩნეული და სამსახურში ვერ მიგიღებთო. არადა, მანაც შესანიშნავად იცის, რომ იქ არანაირი სამხედრო ამბოხება არ ყოფილა. იმედი მაქვს, ეს ე.წ. ამბოხებაც სრულად იქნება შესწავლილი. ისევე როგორც ჩემი ძმის საქმე, რომელშიც ჩახედვის უფლება არა მაქვს.

– რატომ არა გაქვთ საქმეში ჩახედვის უფლება?

– იმიტომ, რომ დაზარალებულად არ გუცვნივარ. ამის გამო საქმეს ვერ გავეცნობი. იმედია, მალე მცნობენ დაზარალებულად.

– ადვოკატებისგან რა იცით, არის რამე სიახლე გია კრიალაშვილის საქმეში?

– ახალი დეტალები, ბუნებრივია, იქნება. საქმეში ჩახედული რაკი არ ვარ, რამის თქმა გამიჭირდება. იმას კი ხმამაღლა ვიტყვი, რომ დამნაშავეები დღემდე მუშაობენ ძალოვან სტრუქტურებში. პროკურატურასთან სასაყვედურო არაფერი მაქვს, ღამეებს ათენებენ და ისე მუშაობენ. ოღონდ ის მიკვირს, რატომ არ ითვლება მტკიცებულებად ვანო მერაბიშვილის სიტყვები.

– რომელი სიტყვები?

– ორ გვამს რომ ითხოვს და პრემიების გაცემის პირობას დებს. ამის გარდა, არის კიდევ სხვა მტკიცებულება. საუბარია აუდიოჩანაწერზე.

– რა აუდიოჩანაწერზეა საუბარი?

– ეს ჩანაწერი ვანოს გვამების ჩანაწერის გავრცელებამდე ერთი წლით ადრე გამოჩნდა. ის ჩანაწერი პროკურატურას აქვს. აქ სოდის ყოფილი თანამშრომელი ყვება, რომ მერაბიშვილმა გასცა 12-12 ათასი ლარი პრემია. ეს პრემიები მიიღეს იმ პირებმა, რომლებიც „მარშრუტკაში" ისხდნენ და გიას ესროლეს. საუბარია 4 ადამიანზე. პერიმეტრზე მდგარ პირებს 2-2 ათასი ოდენობის პრემიები მისცეს. ვინ აიღო ეს პრემიები, ამის გარკვევა ძალიან მარტივია. ამოიღონ დოკუმენტები და იქ ეწერება, ვინ მიიღო ეს პრემიები.

– პროკურატურამ არ გადაამოწმა ეს ინფორმაცია?

– რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, გადაამოწმეს ეს ინფორმაცია. ოღონდ ეს მყარ მტკიცებულებად არ ითვლება.

– რატომ არ ითვლება?

– ამ ჩანაწერს სასამართლო არ ჩათვლის მყარ მტკიცებულებად, თორემ პროკურატურას რას ვერჩი. ეს უწყება მართლა მუშაობს. მოსამართლეები კი მართლა სცოდავენ. ალბათ ყველას ახსოვს ლევან ტაბიძის საქმე. ეს ის პიროვნებაა, რომელმაც კობა ოთანაძის 20-მდე ნათესავი მძევლად აიყვანა. მძევლებს შორის იყო ერთ წლამდე ასაკის ბავშვი. არსებობს ინფორმაცია, რომ ეს ბავშვი აწამეს.

– რას ამბობთ, ერთ წლამდე ასაკის ბავშვი აწამეს?

– აწამეს, აწამეს. ფეხებით იჭერდნენ და აჩხავლებდნენ. მერე ბავშვისთვის ფეხები გადაუწვევიათ და ახლობლებისთვის უთქვამთ, ცოცხლად გაგგლეჯთო. ამ ბავშვის დეიდას სცემეს და მუცელი მოუშალეს. ბავშვის ბიძას ისე სცემეს, საკვერცხეები გაუხეთქეს და მათი ამოჭრა გახდა საჭირო. მძევალთა შორის იყო ბავშვის ბებიაც. მას თავში ურტყეს. ისე და იმდენი ურტყეს, რომ ქალს თავში სიმსივნე განუვითარდა და რამდენიმე თვეში გარდაიცვალა. ამ ლევან ტაბიძის სასამართლო პროცესი რამდენიმე დღის წინ გაიმართა. და იცით, რა ქნა მოსამართლემ? ამ ჯალათს წამების მუხლი მოუხსნა და მარტო 5 წელი მიუსაჯა. გადარეული იყო საქმის გამომძიებელი. სანამ ეს ხალხი იქნება სასამართლოში, არაფერი შეიცვლება.

– მოდით, ისევ თქვენი ძმის საქმეს დავუბრუნდეთ. ვრცელდება უამრავი ვერსია, თუ რატომ მოკლეს ის.

ტრისტან წითელაშვილის თქმით, გია კრიალაშვილმა ბევრი რამე იცოდა სააკაშვილზე.

– ამ საკითხზე მეც მესაუბრა ტრისტანი. ის ვარაუდობს, რომ გია იარაღით ვაჭრობას შეეწირა. ჩემი ძმა წლების მანძილზე უკრაინაში მოღვაწეობდა და იქაური ამბები კარგად იცოდა. ტრისტანი როგორც ამბობს, მან იცოდა, რა შავბნელ საქმიანობასაც ეწეოდა სააკაშვილი უკრაინაში. ამ შემთხვევაში იარაღით ვაჭრობაზეა საუბარი.

– თქვენ რა იცით ამის შესახებ, მართლა ფლობდა ის ამის შესახებ ინფორმაციას?

– გიამ ბევრი რამე იცოდა, შესაძლოა, ამაზეც ფლობდა ინფორმაციას. ამ თემაზე გია ჩემთან არასდროს საუბრობდა. ამ საკითხზე ერთი პიროვნება შემხვდა და მითხრა, რომ მეტყოდა, რა ტიპის იარაღით ვაჭრობდა სააკაშვილი.

– გითხრათ ამის შესახებ?

– მე ვუთხარი, რომ არ მაინტერესებდა. თან ჩემთვის ჩემი ძმის მკვლელების დაჭერაა მთავარი. ჩემი ძმის მკვლელობის სავარაუდო ვერსიებზე სანდრო კავსაძესაც აქვს საინტერესო განცხადება გაკეთებული. საგაზეთო ინტერვიუში კავსაძე საუბრობს, რომ პუტინთან შეხვედრის შემდეგ სააკაშვილმა რუსეთის პრეზიდენტს აგინა.

– ამის გამო რატომ უნდა მოეკლათ თქვენი ძმა. მან პირადად ნახა, როგორ აგინებდა სააკაშვილი პუტინს?

– პირადად სად ნახავდა! ეს გინება შეხვედრის დასრულების შემდეგ იყო. პირში პუტინს გინებას როგორ გაუბედავდა? იქედან გამოსულს, თავის გარემოცვაში უგინებია პუტინისთვის. ეს ვიღაცამ ჩაიწერა და შეუტანა პუტინს. ეს ჩანაწერი უკრაინაშიც ჩაიტანეს და გიას მოასმენინეს თურმე.

– პუტინის გინების გაჟღერება რატომ არ უნდა ყოფილიყო სააკაშვილის ინტერესებში?

– იქ მარტო გინება არ არის. სააკაშვილი იქ იმასაც ყვიროდა, ამას ველოდი მე მისგან? ამას დამპირდა! აქ ბევრად საინტერესო რამეა, ვიდრე მარტო გინება. არ არის გამორიცხული, ჩემს ძმას კიდევ სხვა ინფორმაციებიც ჰქონოდა. სხვა მხრივ რატომ უნდა მოეშორებინათ ის? საქართველოდან წასული იყო და არც პოლიტიკურ პროცესებში დებულობდა მონაწილეობას. მაშინაც რამდენიმე დღით იყო მხოლოდ ჩამოსული. ბუნებრივია, მიჩნდება კითხვა, რატომ მოკლეს ჩემი ძმა. ის შემთხვევით არ მოუკლავთ, მას გულში ჰქონდა ტყვია ნასროლი. კობა ოთანაძეც სასიკვდილოდ გაიმეტეს, მაგრამ ის ექიმებმა გადაარჩინეს. შარშან გავრცელებულ ვიდეოში ვანო მერაბიშვილი სწორედ გიას და ოთანაძის გვამებს ითხოვდა.

– მერაბიშვილი ამტკიცებს, რომ ის რუსი ინსტრუქტორების გვამებს მოძებნას ითხოვდა, რომლებიც, მისივე თქმით, მუხროვანის ამბოხების მონაწილეებმა კვალის დაფარვის მიზნით დახოცეს.

– ჯერ ის დაამტკიცოს, რომ მუხროვანის სამხედრო ნაწილში მართლაც ამბოხებას ჰქონდა ადგილი. და საინტერესოა, რატომ ვერ იპოვეს ის გვამები? მაგათ ხელში არ იყო ყველაფერი? სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ მერაბიშვილი გია კრიალაშვილის და კობა ოთანაძის გვამებს ითხოვდა. მათი დახოცვა რომ უნდოდათ, ამაზე ბევრი რამე მეტყველებს. ასეთი დიდი ინტერესი რომ არ ყოფილიყო, ოპერაციის ადგილას გიგი უგულავა და გიგი თარგამაძე არ მივიდოდნენ. ამის უფლება არც ერთს არ ჰქონდა.

– გიგი თარგამაძე თავდაცვისა და უშიშროების საპარლამენტო კომიტეტს ხელმძღვანელობდა და, შესაძლოა, ამიტომ მივიდა იქ.

– კომიტეტის თავმჯდომარეს იქ რა ესაქმებოდა? მაგასაც მოუწევს ამ დანაშაულზე პასუხის გაცემა. დაჭრილ ოთანაძეს მაგან დაახალა მაჯებში ტყვია. ეგონა, რომ მოკვდებოდა, მაგრამ გადარჩა და ყველაფერს მოყვება. ასევე ყველაფერს იტყვის ლევან ამირიძეც. ყველას თავისი პასუხი მოეთხოვება, მათ შორის, გიგი უგულავასაც. როდის იყო, რომ დედაქალაქის მერი სპეცოპერაციაში მონაწილეობდა? მე ამასთან დაკავშირებით ერთხელ დავუსვი იმ საზიზღარს კითხვა.

– სად შეხვდით უგულავას?

– ეს მის სასამართლო პროცესზე მოხდა, სანამ დაიჭერდნენ, რამდენიმე დღით ადრე. ეზოში შევხვდი და ვკითხე, რა უნდოდა სპეცოპერაციის ადგილზე.

– რა გიპასუხათ?

– არაფერი. უხმოდ წავიდა. მერე ვიღაცა ქალი გამოვარდა და მისი დაცვა დაიწყო. დამცველები და მფარველები მაგათ არასდროს აკლდა, არც შინ და არც გარეთ. ამიტომაც არის, რომ ბევრი დამნაშავე დღემდე თავისუფლად დადის. ამერიკის და დასავლეთის ნარევაც საეჭვოა უკვე. გამოდიან და ღიად აფარებენ დამნაშავეებს ხელს. მაინტერესებს, რა იზამდნენ, ხელისუფლების წარმომადგენლებს მათ ქვეყნებშიც იგივე უკანონობა რომ ჩაედინათ, რაც აქ ჩაიდინეს. რატომ უნდა შერჩეთ ნაციონალებს დანაშაული, მხოლოდ იმიტომ, რომ ვიღაც ამერიკელს მოსწონს ისინი? ან ის ხალხი გვანახეთ, რომლებიც კოაბიტაციას გვაძალებენ. შეგვხვდნენ ჩვენ და გვეტყვით, რა ჯოჯოხეთიც გამოვიარეთ. იმედი მაქვს, რომ თავსმოხვეული კოაბიტაცია დასრულდება და სამართლიანობა აღდგება.

– ამისი გჯერათ თუ მხოლოდ იმედოვნებთ?

– მჯერა. ცხონებული იური ვაზაგაშვილის ტრაგედიამ ბევრი რამე შეცვალა. შვილის საფლავზე მისმა აფეთქებამ საქართველოში კოაბიტაციაც დაასრულა. პროკურატურა უკვე ამუშავდა. მეც ვიპოვი სამართალს. ჩემი ძმის საქმის გამოძიებასაც მივიყვან ბოლომდე და იმ ბინის დაბრუნებასაც შევეცდები, რომელიც ბანკმა უსამართლოდ წამართვა.

ლეონიდ თიბილოვის სიძემ თავი მოიკლა

შორენა მარსაგიშვილი

ცხინვალში დიდი ამბები ტრიალებს. 9 თებერვალს სამხრეთი ოსეთის პრეზიდენტის სიძემ, ვადიმ ვალიევმა, თავი მოიკლა. ინფორმაცია ამის შესახებ ოსურმა მედიამ გუშინ გაავრცელა.

41 წლის ვადიმ ვალიევი ლეონიდ თიბილოვის ქალიშვილის, მარინას, თანამეცხედრე იყო. გარდაცვლილი სამხრეთი ოსეთის გენერალურ პროკურატურაში მსახურობდა, მარინა კი რესპუბლიკის ფინანსთა მინისტრის მოადგილე გახლავთ.

ოსური მედიის ცნობით, მომხდართან დაკავშირებით ადგილობრივმა პროკურატურამ უკვე აღძრა სისხლის სამართლის საქმე.

– ვალიევმა თავი ცეცხლსასროლი იარაღით მოიკლა. ეს 9 თებერვლის საღამოს მოხდა. ვალიევი სახლში მეუღლესთან და შვილებთან ერთად იმყოფებოდა. რაღაც მომენტში ის მეორე ოთახში გავიდა და იქ მოიკლა თავი. – აცხადებენ ოსური მილიციის წარმომადგენლები.

თვითმკვლელობის ვერსიებზე ჯერჯერობით ოსური მედია არაფერს წერს. არავინ იცის, რატომ გადადგა პრეზიდენტის სიძემ ეს ნაბიჯი. კომენტარს არც გარდაცვლილის ახლობლები აკეთებენ.

მართალია, ცხინვალში ბოლო დროს პოლიტიკური სიტუაცია გამწვავდა, მაგრამ, საეჭვოა, ვალიევს ამის გამო დაემთავრებინა სიცოცხლე თვითმკვლელობით.

ახალი სკანდალი თავდაცვის სამინისტროში — რატომ გადადგა ვალერი ზუმბაძე?

ზუმბაძე სასამართლოში ჩივილს აპირებს

ირაკლი ჩიქოვანი სამინისტროს წარმომადგენლებს პარლამენტში იბარებს

გუშინ, 10 თებერვალს, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს გენერალური ინსპექციის უფროსის მოადგილემ, ვალერი ზუმბაძემ, თანამდებობა დატოვა.

ვალერი ზუმბაძე ამ თანამდებობაზე რამდენიმე დღის წინ დაინიშნა.

ზუმბაძის დანიშვნამ საზოგადოებაში აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია. იგი ფიგურირებს 2011 წლის 7 ივლისს 3 ფოტოგრაფის დაკავების საქმეში, 2010 წელს ჯაშუშურ ქსელში ჩართული ადამიანების გამოსააშკარავებელ ოპერაცია „ენვერში“ და ასევე, გავრცელებული ინფორმაციით, ის ჩართული იყო 2012 წლის ლაფანყურის საქმეშიც.

ზუმბაძე წინა ხელისუფლების დროს კონტრდაზვერვის დეპარტამენტის საგამოძიებო სამსახურის უფროსის თანამდებობას იკავებდა. ყოფილმა პოლიტპატიმარმა ვახტანგ მაისაიამ ბოლო დღეების განმავლობაში რამდენჯერმე გააკეთა განცხადება ზუმბაძესთან დაკავშირებით, სადაც აღნიშნავდა, რომ ზუმბაძე მისი დაკავების დროს მასზე ფსიქოლოგიურ, ფიზიკურ და მორალურ ზეწოლას ახდენდა. მაისაიამ ზუმბაძეს ჯალათიც უწოდა.

ვალერი ზუმბაძე ვახტანგ მაისაიას საქმის გამომძიებელი იყო. პოლიტოლოგი ვახტანგ მაისაია ჯაშუშობის ბრალდებით 2009 წლის მაისში დააკავეს. სასამართლომ მას თავისუფლების 20 წლით აღკვეთა მიუსაჯა. მაისაიას საქართველოს ბოლო მოწვევის პარლამენტმა პოლიტპატიმრის სტატუსი მიანიჭა. პოლიტოლოგმა სასჯელაღსრულების დაწესებულება, პოლიტპატიმრის სტატუსით, 2013 წლის 13 სექტემბერს დატოვა.

ვალერი ზუმბაძემ ამ ყოველივესთან დაკავშირებით ასეთი განცხადება გააკეთა:

„ჩემ წინააღმდეგ ბოლო პერიოდში ვრცელდება ყოველგვარ რეალურ საფუძველს მოკლებული ბრალდებები და მიმდინარეობს ცილისმწამებლური კამპანია.

იმისთვის, რათა არ მოხდეს საქართველოს თავდაცვის უწყების იმიჯის შელახვა, მივიღე გადაწყვეტილება, დავტოვო დაკავებული თანამდებობა. მზად ვარ, სამართლებრივი პროცედურების ფარგლებში, პასუხი გავცე ჩემი მისამართით დასმულ ყველა კითხვას.

აქვე მინდა აღვნიშნო, რომ გადავწყვიტე, ცილისმწამებლური განცხადებების ავტორების წინააღმდეგ სარჩელი შევიტანო სასამართლოში, რათა დავიცვა საკუთარი რეპუტაცია და ერთხელ და სამუდამოდ, საზოგადოებისთვის ცნობილი გახდეს სიმართლე“.

გუშინვე თავდაცვის სამინისტროში გადადგომათა სერია გაგრძელდა. ამჯერად თანამდებობა სამხედრო პოლიციის უფროსის მოადგილემ, რობერტ გრიგალაშვილმა, დატოვა.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ უწყებაში განუცხადეს, რობერტ გრიგალაშვილმა პოსტიდან წასვლის შესახებ პატაკი საკუთარი სურვილით დაწერა.

„თავისუფალი დემოკრატების“ ერთ-ერთი ლიდერი, დეპუტატი ირაკლი ჩიქოვანი, ვალერი ზუმბაძის გადადგომას ადეკვატურად მიიჩნევს, თუმცა აცხადებს, რომ ყველა ის საკითხი, რაზეც ზუმბაძის მიმართ შეკითხვა არსებობს, უნდა გაირკვეს.

ირაკლი ჩიქოვანი:

— სწორი არ იყო ის ნაბიჯი, როდესაც ეს ადამიანი, ვის მიმართაც მძიმე საკითხებთან დაკავშირებით არსებობს შეკითხვები, თანამდებობაზე დაინიშნა. უკვე მივმართე თავდაცვის და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარეს და მოვითხოვე, რომ თავდაცვის სამინისტრომ გააკეთოს განცხადება, როგორ აპირებს ამ კითხვებზე პასუხის გაცემას. გადაწყვეტილება, რომელიც ზუმბაძის მიერ იქნა მიღებული, ადეკვატურია, მაგრამ ძალიან მნიშვნელოვანია, ყველაფერი გაირკვეს, გამოძიებულ იქნას და საზოგადოებისთვის ერთხელ და სამუდამოდ თვალსაჩინო გახდეს გარკვეული საკითხის რეალური ასავალ-დასავალი, თუმცა, რა თქმა უნდა, მე არ ვარღვევ არავის უდანაშაულობის პრეზუმფციას.

დეპუტატის განმარტებით, თავდაცვის სამინისტროსთან კითხვები არსებობს.

— ეს დაკავშირებულია არა მხოლოდ გენინსპექციაში, არამედ სამინისტროს დაქვემდებარებულ სხვა უწყებებში მომუშავე ადამიანების დანიშვნებთან. არიან პირები, რომელთა წარსული უკავშირდება ისეთი ხმაურიანი საქმეების გამოძიებას, რომლებიც საზოგადოებაში, არასამთავრობო სექტორსა თუ პოლიტიკურ ძალებში ძალიან ნეგატიურ შეფასებას ტოვებს, თუნდაც თეთრაძის საქმე, — განაცხადა ირაკლი ჩიქოვანმა.

დეპუტატის ინფორმაციით, თავდაცვის და უშიშროების საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარესთან იგი შეთანხმდა, რომ თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენლებს პარლამენტში მიიწვევენ.

ლადო სადღობელაშვილი: ძალოვან სტრუქტურებში ნაციონალები არიან ჩანერგილი“

გულიკო ბალაძე

არასამთავრობო ორგანიზაცია „თავისუფალი თაობა“ აცხადებს, რომ აქვთ ინფორმაცია, რომლის თანახმადაც, უახლოეს პერიოდში ვაზაგაშვილის აფეთქების მსგავსი ტერაქტი იგეგმება.

ამის თაობაზე პორტალ „კვირის“ პრესკლუბში „თავისუფალი თაობის“ ერთ-ერთმა ლიდერმა, ლადო სადღობელაშვილმა, ისაუბრა.

ლადო სადღობელაშვილმა ასევე ისაუბრა იური ვაზაგაშვილის აფეთქების ბრალდებით დაკავებულ გია სოსანაშვილსა და იმ პირებზე, რომლებიც, მისი თქმით, საქართველოს ძალოვან სტრუქტურებში ჩანერგილები და „დავერბოვკებულები“ არიან.

როგორც ლადო სადღობელაშვილმა აღნიშნა, ხსენებული პირები საქართველოს მიხეილ სააკაშვილის უშუალო მითითებებს ასრულებენ.

— რა სურვილი შეიძლება გაუჩნდეს სააკაშვილს დღევანდელ ვითარებაში? მას გაუჩნდება სურვილი, რომ მოაწყოს არეულობა, მოაწყოს იმის მსგავსი ტერაქტები, როგორიც იური ვაზაგაშვილის წინააღმდეგ განხორციელდა. მოხდეს კრიმინალის გაზრდა. არ გამოვრიცხავ, რომ ის პირები, რომლებიც დათხოვნილი არიან სამართალდამცავი სტრუქტურებიდან და შემდეგ ჩამოაყალიბეს „სამართალდამცავთა ლიგა“, კავშირში იყვნენ კრიმინალებთან და მანიპულირებდნენ მათით, რათა ქვეყანაში კრიმინალის დონე გაიზარდოს. დღეს კრიმინალის ზრდა სწორედ მათი მეშვეობით ხდება. — განაცხადა ლადო სადღობელაშვილმა.

სადღობელაშვილმა იმ 18-კაციანი სიის შესახებაც ისაუბრა, რომლებიც, მისი განცხადებით, დღევანდელ ძალოვან სტრუქტურებში არიან ჩანერგილი. უფლებადამცველის თქმით, იური ვაზაგაშვილის მკვლელობის ბრალდებით დაკავებული გია სოსანაშვილი ამ სიიდან ერთ-ერთი აღმოჩნდა.

— ჩვენ გვაქვს ინფორმაცია, რომ უახლოეს პერიოდში იური ვაზაგაშვილის გარდაცვალების მსგავსი ტერაქტის განხორციელება იგეგმება. ხელისუფლებამ ყურადღება უნდა მიაქციოს თავისუფლებაში დარჩენილი ქადაგიძის, ჭაიას, გვაზავასა და იმ 17 ადამიანის აქტივობებს, რომლებიც ჩვენ მიერ ნახსენებ სიაში არიან. — განაცხადა ლადო სადღობელაშვილმა.

სადღობელაშვილის ინფორმაციით, გია სოსანაშვილს სერიოზული ფინანსური პრობლემები ჰქონდა და მან ფულადი დაინტერესების გამო დანაშაული ჩაიდინა. 18-კაციანი სიის შესახებ ასევე „თავისუფალი თაობის“ კიდევ ერთმა წევრმა, გიორგი ყუფარაძემ განაცხადა. ამ სიაში არიან ადამიანები, რომლებიც უშუალოდ ირაკლი ფირცხალავას რეკომენდაციით არიან დანიშნული, ზოგი მათგანი მისი ნათესავიც არის. გიორგი ყუფარაძე არის ყოფილი თანამშრომელი, რომელიც ჯანმრთელობის პრობლემების გამო წამოვიდა პოლიციიდან. მას აქვს კონტაქტები იმ ადამიანებთან, რომლებმაც ცნობილი 18-კაციანი სია შეადგენინეს. გიორგი ყუფარაძემ რეალური მოკვლევა ჩაატარა, გამოძიების ტიპის სამუშაო შეასრულა და წარმოადგინა სია.

— მქონდა ინფორმაცია, რომ მოქმედი პოლიციელები აქტიურად თანამშრომლობდნენ „სამართალდამცავთა ლიგასთან“, რის შემდეგაც დავიწყე მოკვლევა, რათა გამერკვია, ვინ იყვნენ ეს ადამიანები. ამ თვრამეტი კაცის გარდა, დღეს ძალოვან სტრუქტურებში ძალიან ბევრი ჩანერგილია. ამ სიაში არიან ადამიანები, რომლებიც უშუალოდ ირაკლი ფირცხალავას რეკომენდაციით არიან დანიშნულები, ზოგი მათგანი მისი ნათესავიც არის. ამ სიაში წარმოდგენილი ადამიანების ნაწილი თანამდებობაზე იმყოფება, ნაწილი კი პოლიციის ინსპექტორ-გამომძიებელია. — განაცხადა გიორგი ყუფარაძემ.

მათივე განცხადებით, ეს ის ე.წ. სამართალდამცავები არიან, რომლებიც „მიშა-მიშას“ გაიძახოდნენ.

რეგულარული ჩემპიონატის ლიდერმა ბოლნისის „ყოჩებმა“ საქართველოს მორაგბეთა ეროვნული ჩემპიონატის მე-13 ტურში აუტსაიდერი „თიბიეს უნივერსიტეტი“ პრემიალური ქულით დაამარცხა და უახლოეს მდევართან უპირატესობა 10 ქულამდე გაზარდა.

იმის გამო, რომ 9 ნომერი გიორგი ბეგაძე და გარემარბი ალექსი ხუციშვილი ნაკრებთან ერთად გერმანიაში იყვნენ, ბოლნისელთა მწვრთნელებს გარკვეული გადაადგილებების განხორციელება მოუწიათ. 9 ნომრად შავლეგ მახარაშვილი დადგა, ფულბეკის პოზიციაზე — ლევან გოგოლაშვილი, ხოლო გარემარბად გიორგი მელაძე თამაშობდა.

მატჩი ბოლნისელებმა აქტიურად დაიწყეს და მეხუთე წუთზე ანგარიში გახსნეს. მარჯვენა ფლანგიდან იერიში ირაკლი გეგენავა ჩაერთო და ლელო გაიტანა. თემურ სოხაძის გარდასახვა არაზუსტი იყო. შემდეგ „თიბიესმა“ კარის წინიდან ჯარიმის შესრულების უფლება მიიღო და ბურთი ძელებშუა გააძვრინა. მერე „ყოჩები“ შერკინებაში დაჯარიმდნენ და თბილისელები 6:5 დაწინაურდნენ, მაგრამ ამის შემდეგ ქულის აღება ვეღარ მოახერხეს.

ბოლნისელებმა შეტევისთვის მოიცალეს, სოხაძემ ხაზი გაჭრა და ლელოში ბურთი რატი გარუჩავას შეაყოლა. ამჯერად გარდასახვა ზუსტი იყო — 12:6. ტაიმის ბოლოს თბილისელებმა სცადეს ჯარიმის გატანა, მაგრამ ბურთმა კარამდე არ მიაღწია, რასაც „ყოჩებმა“ ხელდახელ შეტევით უპასუხეს, მარცხენა ფლანგზე მელაძემ და ნიკო აფციაურმა კარგად იარეს, მერე იერიში მარჯვნივ გაიშალა და ლევან გოგოლაშვილმა ლელო გაიტანა, ხოლო სოხაძემ გარდასახვით ტაიმის ანგარიში დააფიქსირა — 19:6.

მეორე ტაიმის დასაწყისში სოხაძემ კარის ჯარიმით მონაგარს 3 ქულა შემატა. შემდეგი დარტყმა არაზუსტი იყო და ამის შემდეგ ბოლნისელები კვლავ ლელოებზე ათამაშდნენ. 5-მეტრა დერეფანს მოლი მოყვა, მისი შეჩერება მცველებმა მოახერხეს და თამაში რომ გაიშალა, პირველ მიძალებასაც კარგად დახვდნენ, მაგრამ აფციაური ვეღარ შეაკავეს და მეოთხე ლელო გავიდა. სოხაძემ გარდასახვით გუნდს კიდევ 2 ქულა შესძინა.

65-ე წუთზე დერეფანს კარგი კომბინაცია მოყვა, გარუჩავამ ხაზი გაჭრა და დუბლი შეასრულა. მატჩის მიწურულს დერეფნის მოგების შემდეგ ლელო ნიკოლოზ ჩხიკვაძემ გაიტანა, სოხაძემ ორივე გარდასახვა გამოიყენა და „ყოჩებმა“ 43:6 იმარჯვეს.

ტურის სხვა მატჩებში უფრო გამოსარჩევი იყო. კერძოდ, საინტერესო გამოდგა ბათუმური მატჩი, სადაც რუსთავის „ხარები“ სტუმრობდნენ. ზღვისპირელებმა 14:10 გაიმარჯვეს და მეორე ადგილზე დარჩნენ.

ასევე საინტერესო გამოდგა თბილისის „ლოკომოტივისა“ და ქუთაისის „აიას“ ჯახი. პირველი წრის მატჩი ქუთაისში „ლოკომოტივმა“ მოიგო, ამჯერად ქუთათურებმა რევანში აიღეს — 20:41.

შარშანდელი ფინალისტი „არმია“ წელს საერთოდ სხვა გუნდია და დიდი ალბათობით ფლეი ოფს მიღმა დარჩება. არმიელები ამჯერად „ჯიქებთან“ დამარცხდნენ — 0:20

„ლელო-სარასენსი“ კი „არმაზს“ დაუხვდა და რთულ ბრძოლაში 22:10 დაამარცხა და პრემიალური ქულაც ვერ აიღო.

სატურნირო ცხრილი:

1.ყოჩები	13	11	1	1	313-163	49
2.ბათუმი	13	8	1	4	262-188	39
3.ლელო სარ.	13	8	2	3	258-174	38
4.აია	13	7	0	6	234-206	33
5.ხარები	13	6	2	5	227-197	31
6.ლოკომოტივი	13	5	1	7	207-212	28
7.არმაზი	13	5	1	7	212-252	24
8.ჯიქები	13	5	1	7	178-188	24
9.არმია	13	4	1	8	169-255	21
10.თიბიესი	13	1	0	12	159-384	7

გია გრიგალავა: ანჟი საქმეს თეთრი ძაფით მიკერავს“



რამდენიმე დღის წინ საქართველოს ნაკრებისა და მახაჩყალის „ანჟის“ მცველი, გია გრიგალავა, რუსეთში აკრძალული პრეპარატების გამოყენებაში დაადანაშაულეს. მეტიც, ჩვენებურს ნარკოტიკების გამოყენებაც დასდეს ბრალად, რის შემდეგ კლუბმა განცხადებაც გააკეთა.

— დაღესტნის რესპუბლიკის ანტინარკოტიკულ ფედერალურ სამსახურში შევიდა ანონიმური ზარი. წყარო იტყობინებოდა, რომ „ანჟი არენის“ ტერიტორიაზე დაფიქსირდა ნარკოტიკების გამოყენების ფაქტი, სავარაუდოდ, „ანჟი-2“-ის ფეხბურთელების მიერ. ბიუროს თანამშრომლები ამ ფაქტის გადამოწმების მიზნით, „ანჟი არენაზე“ მოვიდნენ. მათ მთავარი მწვრთნელის, რუსლან აგალაროვის და სპორტული დირექტორის, სერგეი კორაბლევის თანდასწრებით გაისაუბრეს ფეხბურთელებთან. ასევე, მათ ამორჩევით დაიწყეს ფეხბურთელების სამედიცინო შემოწმება, რომელთა მიხედვითაც, ხუთი ფეხბურთელის ანალიზი საეჭვოდ ჩაითვალა. ეჭვის დასადასტურებლად ან გასაფანტავად საჭირო გახდა ხელმეორე ექსპერტიზა. ოთხმა ფეხბურთელმა ნებაყოფლობით ჩააბარა ანალიზები. ერთ-ერთმა ეჭმიტანილმა კი კატეგორიული უარი განაცხადა, დატოვა ტერიტორია და არ გამოდიოდა კონტაქტზე. ეს ფეხბურთელი იყო გია გრიგალავა.

თავად გრიგალავამ დამოუკიდებელი ექსპერტიზა მოითხოვა, რასაც კლუბში არ ადასტურებენ. მოკლედ, ქართველი „შარშია“. ყველაზე საინტერესო კი ის არის, რომ საქართველოს ნაკრების წევრის გამო არანაირი განცხადება და დახმარების სურვილი არ გამოუთქვამს საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას. ეს პირველი არ არის სფფ-ს მხრიდან — სკანდალური ფაქტების დროს ქართული ფეხბურთის მესვეურები ყოველთვის დუმილს ამჯობინებენ.

თავად გრიგალავა აღნიშნავს, რომ „სუფთაა“ და ეს ყველაფერი მოუწყვეს. ქართველმა ფეხბურთელმა რუსულ მედიასთან ისაუბრა.

გია გრიგალავა:

— არასდროს მისაუბრია „ანჟისა“ და ჩემს ურთიერთობაზე. სათქმელი ადრეც ბევრი მქონია, მაგრამ ახლა საქმე იქამდე მივიდა, რომ უბრალოდ არ შემიძლია გავჩუმდე.

— მზად ვართ მომხდართან დაკავშირებით თქვენეული ვერსია სიტყვა-სიტყვით გამოვაქვეყნოთ.

— „ანჟის“ განცხადებას სხვას ვერაფერს ვუწოდებ, თუ არა სასაცილოს. ამბობენ, თითქოს ჯერ კიდევ 15 იანვარს აღმოაჩნდა რაღაც სისხლის ანალიზში... არადა, ანალიზების ჩაბარებიდან 4-5 დღის შემდეგ გუნდის ექიმი ამბობდა, რომ ყველა ფეხბურთელი სუფთა იყო და არავითარი პრობლემა არ არსებობდა. მოგვიანებით კი, ნაცნობებმა დამიწყეს გაფრთხილება — გია, ფრთხილად იყავი. ადამიანები ყველაფერზე წამსვლელები არიან. მე კი თავდაჯერებული ვიყავი. არც ვეწევი და არც ვსვამ, რომ აღარაფერი ვთქვათ სხვა უფრო სერიოზულ საშუალებებზე. გაფრთხილებიდან ერთ დღეში შემოწმება დაიწყეს. ვარჯიში გვქონდა, როდესაც გენდირექტორი მოვიდა და თავისთან მეორე გუნდის მწვრთნელს უხმო — ახლა ფეხბურთელები გასახდელში შევლენ და შარდის ანალიზს ჩააბარებენ. თავად წავიდა, რამდენადაც მახსოვს, მწვრთნელები გასახდელში არ ყოფილან, შემოწმება კი იმ დონის იყო, თავი რკინიგზის სადგურზე მეგონა. მათ, ვინც პროცედურებს ატარებდნენ, საჭირო ინვენტარიც არ ჰქონდათ და შარდს მასაჟისტის მოცემული ჩაის ჭიქებით ვაბარებდით! ტესტებზე უარი არ მითქვამს. თუმცა კი მეცინებოდა. ანალიზი ერთ-ერთმა ბოლომ ჩავაბარე. ბიჭების უმეტესობის ანალიზები გადაღვარეს, ტესტერები კი გადაყარეს, ჩემი კი შეინახეს. როდესაც დაბრუნება მოვთხოვე, თავიდან მომიშორა. ამ ყველაფერს მთელი გუნდი დამიდასტურებს. შემდეგ მითხრეს, რომ გავყოლოდი, რაზეც უარი ვუთხარი და დამოუკიდებელი ექსპერტიზა შევთავაზე. ისევ უარი მივიღე. შემდეგ ერთ-ერთმა მითხრა, რომ მისვლა თქვენი კლუბის გენდირექტორს უთხოვია. მას შემდეგ, რაც გაყოლაზე უარი ვუთხარი, წავიდნენ. ჩემი თანაგუნდელები მაშინვე მიხვდნენ, რომ მათ მხოლოდ მე ვჭირდებოდი. ყველაფერი თეთრი ძაფით იყო ნაკერი...

— „ანჟიში“ ამბობენ, რომ ამის შემდეგ გაუჩინარდით და არც ტელეფონს პასუხობდით.

— არსად დავმალულვარ. მეორე დღესაც ვარჯიშზე ვიყავი და მომდევნო დღესაც. ჩემთან არავინ მოსულა. ტელეფონი კი 24 საათის განმავლობაში ჩართული მქონდა. ისინი, ვინც მიცნობენ, მხარდაჭერას მიცხადებდნენ. ყველა ხვდება, რომ ეს ყველაფერი „დადგმული“ იყო.

— ამის მიზანი რა იყო?

— ყველა პრობლემა „ანჟისთან“ ჩემს შრომით ხელშეკრულებას უკავშირდება. კონტრაქტის პირობების გაუარესებაზე არ ვთანხმდები და ამის გამო გამიშვეს მეორე გუნდშიც. შემდეგ ჩემთვის დამატებითი წნეხი მოიფიქრეს, მაგრამ პრობლემა არ შემქმნია — დავრბივარ. თუმცა, როგორც ჩანს, ჩემი დევნით დაიღალნენ და მიხვდნენ, რომ ეს უშედეგო იყო.

— შემდეგ რა მოიმოქმედეთ?

— მოსკოვში გავემგზავრე ანალიზების ჩასაბარებლად, თუმცა იქ არავინ მაგზავნიდა. შემთხვევით თვითმფრინავში კლუბის გენდირექტორს გადავეყარე. რომ დამინახა, შოკში ჩავარდა. გაფრენამდე ხუთი წუთიღა რჩებოდა და სწორედ მაშინ გაჩნდა „ანჟის“ ვებგვერდზე ის ინფორმაცია... ვიმეორებ, მზად ვარ ნებისმიერი ანალიზისა და სიცრუის დეტექტორისთვის. მაგრამ სხვები თუ არიან ამისთვის მზად? არც ვიცი, საიდან შეიძლებოდა ჩემს ორგანიზმში რამე მოხვედრილიყო — ჰაერიდან, საკვებიდან თუ წყლიდან? მათ ეს კარგად იციან, რადგან დროის 90 პროცენტს „ანჟი-არენაზე“ ვატარებდი, სულ იქ ვსადილობდი. ბოლო დროს კი „ანჟის“ ტერიტორიაზე კვებაზეც უარი ვთქვი, ამისთვის სხვა ადგილებში დავდივარ. არც ჩემს ოთახში ვრჩები — აზრს ვერ ვხედავ. ადამიანები პირში მიღიმოდნენ და თურმე აქ ისეთი რამეები ხდება... ახლა მხოლოდ ვარჯიშზე ვცხადდები, მის დასრულების შემდეგ კი უმალ ვტოვებ ბაზას.

— მახაჭყალაში ტესტირების გავლაზე უარი რატომ თქვით?

— იმიტომ, რომ ადგილობრივ სისტემას არ ვენდობი... დასამალი რამე რომ მქონოდა, როგორ ფიქრობთ, მოსკოვში გავფრინდებოდი? იქ ყველა ანალიზი ჩავაბარე. ამ ტესტებით ნათლად გამოჩნდება, ბოლო ნახევარი წლის განმავლობაში რას ვიღებდი. ამას კი არ გავაკეთებდი, საკუთარ თავში დარწმუნებული რომ არ ვიყო. ვერ გამიგია, რას ფიქრობდნენ ისინი, ვინც ეს ფარსი დაგეგმა. ამბავი მთელ ქვეყანას მოსდეს და ნარკომანადაც კი გამომიყვანეს! ვერც კი ვიხსენებ, ფეხბურთში ყოფილა სადმე მსგავსი შემთხვევა?

— როდის იქნება მოსკოვური ანალიზების პასუხები?

— უახლოეს დღეებში.

— იანვარში თითქოს, „ამკარში“ უნდა გადასულიყავით. აქამდე რატომ არ გადახვედით?

— პირობებზე ვერ შევთანხმდით. თუმცა ჯერ კიდევ შეიძლება მოლაპარაკება, სანამ სატრანსფერო ფანჯარა დაიხურება. მაგრამ ახლა ყველაზე მთავარი ისაა, როგორ დასრულდება ჩემთვის ეს ისტორია.

ფაჩულია მოედანს გამარჯვებითა და ხუთიანებით დაუბრუნდა

ზაზა ფაჩულია მოედანს დაუბრუნდა. „მილუოკი ბაქსის“ ქართველმა ცენტრმა ფეხის კუნთის დაჭიმულობის გამო 6 მატჩი გამოტოვა და „ბრუკლინთან“ გამართულ შეხვედრაში დაბრუნდა. ქართველმა ცენტრმა 16 წუთი ითამაშა და მილუოკელებს გამარჯვებაში 5 ქულა და 5 მოხსნა მიაშველა.

„მილუოკი“ აღმავლობის გზაზეა. ბოლო 7 მატჩიდან 6 მოიგო. ბრუკლინთან მატჩში „ხარირმებმა“ დიდი ბრძოლა გადაიტანეს და მეტოქეს თითქმის უიმედო სიტუაციიდან დაუძვრნენ. მეორე მეოთხედში „მილუოკი“ 17 ქულით აგებდა, თუმცა მესამე პერიოდი მასპინძლებმა 16 ქულით მოიგეს და ბოლო მეოთხედში „ბრუკლინს“ საქმე მოუთავეს — 103:97.

ზაზა ფაჩულია სათადარიგო იყო, რაც 6-მატჩიანი უქმობიდან მობრუნების გათვალისწინებით ჩვეულებრივი მოვლენაა. ქართველმა ცენტრმა 6-დან 1 ორქულიანი და 4-დან 3 საჯარიმო ჩააგდო. 5 ქულა, 5 მოხსნა, 3 ჩაჭრა და 1 პასი — ეს იყო ფაჩულიას საბოლოო მონაგარი. საუკეთესო მილუოკელი ჯარედ დადლი გახლდათ, რომელმაც 19 ქულა დააგროვა. აღმოსავლეთ კონფერენციის გასული კვირის საუკეთესო მოთამაშედ დასახელებულმა გიანის ანტეტოკოუმპომ მილუოკელებს 12 ქულა მიაშველა.

29 მოგებითა და 23 მარცხით „მილუოკი“ აღმოსავლეთ კონფერენციაში მე-6 ადგილზეა. მომდევნო მატჩი ფაჩულიას გუნდს კვლავ შინ, 11 თებერვალს, „საკრამენტოსთან“ ელის.

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი

მის.: მეტრო „დიდუბე“, სამეფო მთის ქუჩა, 1-ლი ხარი, ბინ. 6
☎ 599-90-54-78, 234-02-38

ჰიტლერის ბიოგრაფია მოზარდ მაყურებელთა თეატრში გათამაშდება

ეკა ირემაშვილი

17 და 18 თებერვალს თბილისის მოზარდ მაყურებელთა თეატრის ექსპერიმენტულ სცენაზე რეჟისორი ნიკოლოზ საბაშვილი მსოფლიოში ცნობილი პოლიტიკოსისა და დიქტატორის ადოლფ ჰიტლერის ბიოგრაფიას გააცოცხლებს. ადოლფ ჰიტლერის ბიოგრაფია ქართულ თეატრალურ სცენაზე პირველად გაცოცხლდება. თეატრალური პროექტი საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს ფინანსური მხარდაჭერით განხორციელდა.

საპრემიერო სპექტაკლი დამოუკიდებელი პროექტია და მას „1945" ეწოდება. სპექტაკლის მხატვარია ბარბარა ასლამაზიშვილი, მუსიკალური გაფორმება თამაზ იმნაძეს ეკუთვნის, ქორეოგრაფია ანა სანაიას. სპექტაკლში მონაწილეობენ მსახიობები ლუკა ქაჩიბაია (ჰიტლერი ბავშვობაში), პაატა ქვლივიძე (ჰიტლერი ახალგაზრდობაში), ანა სანაია (ადოლფის დედა), ლევან კაციაშვილი (ადოლფის მამა), ასევე გიორგი ჯიქურიძე, პაატა ქვლივიძე, მარიამ გოცირიძე, ლიზი სიხარულიძე, დავით ბერიძე.

სპექტაკლში გადმოცემულია ჰიტლერის ბავშვობისა და ახალგაზრდობის ებრაელებთან თანაცხოვრების წლები. ბავშვობიდან დიქტატორობამდე განვლილი პერიოდი, რომელშიც ერთ-ერთი მთავარი ხაზი, ჰიტლერის მიუწვდომელი სიყვარულია. ხელმოცარული ადოლფი მიემგზავრება პირველ მსოფლიო ომში, სადაც ფსიქიკურ აშლილობამდე მიდის. პოლიტიკური თამაშები მისი თავშესაფარი ხდება. მომავალი დიქტატორის შერყეული ფსიქიკა პატრიოტიზმის მანტიას მოხდენილად ირგებს და პოლიტიკურ ასპარეზზე წარმატებულ ნაბიჯებსაც დგამს. ძალაუფლების ხელში ჩაგდების შემდეგ იწყება მეორე მსოფლიო ომი.

„1945" სიმბოლოებით არის დატვირთული, თხრობა ეტიუდების ხერხის სახით გადმოიცემა. გამოყენებულია მინიმალური ტექსტები ებრაულ და გერმანულ ენებზე. სპექტაკლი ინტერაქტიულია და ის მაყურებლის ჩართულობას პარტერში შესვლისთანავე გულისხმობს.

სინეტიკ თეატრი 23 ნომინაციაზეა წარდგენილი

ეკა ირემაშვილი

ამერიკაში ქართველების მიერ დაარსებული სინეტიკ თეატრი მთავარი თეატრალური მოვლენის ტრიუმფატორია. პაატა და ირინა ციქურიშვილების დაარსებულმა თეატრმა წელს ჰელენ ჰეისის 23 ნომინაცია მოიპოვა. ვაშინგტონის ყველაზე პრესტიჟული ჯილდოს ნომინაციები ვაშინგტონ პოსტმა უკვე გამოაქვეყნა. მიუხედავად იმისა, რომ ამერიკის დედაქალაქში 90-მდე პროფესიული თეატრია, მათ შორის, კენედის ცენტრი, ის 10 ნომინაციაზეა წარდგენილი.

სინეტიკ თეატრმა და მისმა სპექტაკლმა „შობის მეთორმეტე ღამე" 11 ნომინაცია აიღო. თეატრის დამფუძნებელი და სამხატვრო ხელმძღვანელი პაატა ციქურიშვილია, ის საუკეთესო რეჟისორის ნომინაციაზე წარადგინეს, „შობის მეთორმეტე ღამის" დასი კი საუკეთესო სამსახიობო ანსამბლის პრიზზე.

ირინა ციქურიშვილი რამდენიმე ნომინაციაზეა წარდგენილი, ქორეოგრაფიული ნაშრომის ნომინაციაზე 5 სპექტაკლიდან 3 ირინა ციქურიშვილისაა. „შობის მეთორმეტე ღამეში" ის ქალის მთავარი როლის შესრულებისთვისაც არის ნომინაციაზე წარდგენილი. ამავე თეატრში მოღვაწეობს კახი კავსაძის შვილი ირაკლი კავსაძე და შვილიშვილი ირინა კავსაძე.

21 წლის ირინა კავსაძე ნომინირებულია ქალის საუკეთესო მეორეხარისხოვანი როლისთვის დაწესებულ ნომინაციაზე, ირაკლი კავსაძე კი მამაკაცის საუკეთესო მეორეხარისხოვანი როლის პრიზზე. ნომინაციაზეა წარდგენილი კიდევ ერთი ქართველი — კონსტანტინე ლორთქიფანიძეც, მას ხმის საუკეთესო დიზაინისთვის ორი ნომინაცია აქვს. 7 პრიზზეა წარდგენილი სინეტიკ თეატრის „ექიმ მოროს კუნძული", სამი ნომინაცია მიიღო ამავე თეატრის დადგმამ „მზეთუნახავი და ურჩხული" და ორი ნომინაცია დადგმამ „სამი კაცი ნავში".

როგორც უცხოელი თეატრმცოდნეები აღნიშნავენ, სინეტიკ თეატრის ხელწერა ყველასგან გამოირჩევა, რადგან კინო და თეატრი ორიგინალურად არის გაერთიანებული მათ წარმოდგენებში.

ჰელენ ჰეისის პრემიაზე წარდგენილ ნომინანტთა დაჯილდოება 6 აპრილს გაიმართება. ოქტომბერში კი სინეტიკ თეატრი საქართველოში ჩამოვა და ქართველი მაყურებლის წინაშე თავის სპექტაკლებს ჩამოიტანს. პირველად საქართველოში ირინა კავსაძის სამსახიობო დებიუტიც გაიმართება.

ეიფელის კოშკი სელფისთვის საუკეთესო ფონად აღიარეს

ეიფელის კოშკი სელფი სურათების გადაღებისთვის საუკეთესო ფონად იქნა დასახელებული.

შესაბამისი რეიტინგი სოციალურ ქსელებში ტურისტების მიერ გადაღებული და განთავსებული სელფების სტატისტიკის შესწავლის საფუძველზე შედგა. სპეციალისტებმა გამოარკვიეს, რომ 2015 წლის

პირველი დღეებიდან დაწყებული, ეიფელის კოშკი 10,7 ათას პოსტებსა და ინსტაგრამებშია მოხსენიებული და ამით მან რეიტინგში მეორე ადგილზე გასულ ფლორიდაში განთავსებულ დისნეი ვორლდის კომპლექსს გაასწრო (თითქმის 9,9 ათასი პოსტი). მესამე ადგილზეა დუბაის ცათამბჯენი ბურჯ-ჰალიფა (8,86 ათასი).

ყველაზე პოპულარულების რეიტინგის პირველ ათეულში ასევე მოხვდნენ ლონდონის ბიგ-ბენი, ნიუ-იორკის ემპაირ-სტეიტ-ბილდინგი, ბარსელონას წმინდა ოჯახის ეკლესია, პარიზის „დისნეილენდი", რომის კოლიზეუმი, ნიუ-იორკის გადასახედი მოედანი თოპ ოფ დი როქკი და ლონდონის ხიდი.

— სელფი არა მხოლოდ მისაღები, არამედ ჩვენ დროში ტურისტებისთვის ჩვეულებრივი მოვლენა გახდა, — აღნიშნა საიმონ ეპლბაუმმა. ექსპერტმა ასევე ყურადღება გაამახვილა იმ ფაქტზე, რომ რეიტინგის მესამე ადგილზე გავიდა შედარებით ახალი ღირსშესანიშნაობა, რომელმაც საუკუნოვანი ისტორიის მქონე ადგილებს გაუსწრო.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

საერთაშორისო

ნადეჟდა სავჩენკოს მდგომარეობა ტრაგიკულია

ნადეჟდა სავჩენკო უკიდურესად დასუსტებულია. ამის შესახებ უკრაინის ყოფილმა პრემიერ-მინისტრმა იულია ტიმოშენკომ განაცხადა.

„ის სულ რაღაც 50 კილოგრამს იწონის, ვეღარ ლაპარაკობს და საწვეთურებით ვენები სულ დასისხლიანებული აქვს, მაგრამ შიმშილობის შეწყვეტას არ აპირებს. ის ამბობს, რომ შიმშილობა მისი მხრიდან ერთადერთი მეთოდია იმისა, რომ სამშობლო დაიცვას. ვითარება ტრაგიკულია. ის საუბარსაც ვეღარ ახერხებს. მხოლოდ 2 სიტყვას ამბობს, რომ არ დანებდება", — განაცხადა ტიმოშენკომ.

სამხედრო მფრინავი ნადეჟდა სავჩენკო რუსებმა გასულ წელს დაატყვევეს და ბრალი რუსი ჟურნალისტების მკვლელობაში დასდეს. პატიმარი პროტესტის ნიშნად უკვე მე-60 დღეა შიმშილობს.

ამ დღეებში პრეზიდენტმა პოროშენკომ ევროპელ ლიდერებს ნადეჟდა სავჩენკოს გათავისუფლების პროცესში შუამავლობა სთხოვა. ამის შემდეგ ანგელა მერკელი და ფრანსუა ოლანდი მოსკოვში კრემლის ლიდერს, ვლადიმერ პუტინს შეხვდნენ, მაგრამ უკრაინელი მფრინავი პატიმრობაში რჩება.

მოამზადა გერა მამულაშვილმა

სპორტი

კახა ცხადაძეს მიზნად მსოფლიოს ჩემპიონატზე მოხვედრა დაუსახეს

სფფ-ის აღმასრულებელი კომიტეტი 2015 წელს პირველად შეიკრიბა. დღის წესრიგში ხუთი საკითხი იყო და მათგან ყველაზე მნიშვნელოვანი — ეროვნული ნაკრების ახალი მთავარი მწვრთნელის დამტკიცება და საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის უმაღლესი და პირველი ლიგის კალენდრების მიღება.

პირველ საკითხად ეროვნული ნაკრების ახალი მთავარი მწვრთნელის დამტკიცება იყო, რასაც აღმასკომმა მხარი ერთსულოვნად დაუჭირა. შეგახსენებთ, რომ ნაკრების ახალ თავკაცთან — კახა ცხადაძესთან გაფორმებულია 6 თვეს 2 წელი — ხანგრძლივობის კონტრაქტი. მიზნებში კი, მომდევნო მსოფლიო ჩემპიონატზე ან მინიმუმ საკვალიფიკაციო ეტაპის ფლეი-ოფში გასვლაა. მთავარი მწვრთნელის მუშაობა მხოლოდ ამ შედეგებით შეფასდება დამაკმაყოფილებლად.

ამ საკითხის შემდეგ, სფფ-ის საშეჯიბრო განყოფილებამ წარმოადგინა საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის უმაღლესი და პირველი ლიგის კალენდრების ვარიანტები და აღმასკომს განსახილველად შესთავაზა. მსჯელობის შემდეგ, კალენდრები დამტკიცდა. კალენდრების ელექტრონული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ სფფ-ის ოფიციალურ ვებგვერდზე.

აღმასკომმა, ასევე, დაამტკიცა სფფ-ის საკლუბო ლიცენზირების სტრუქტურის ახალი რედაქცია და საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის დებულებაში და სადისციპლინო კოდექსში შეტანილი ცვლილებები.

ეს ცვლილებები შეეხება ეროვნული ჩემპიონატის მატჩების ვიდეოჩანაწერების დროულად წარმოდგენას.

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

fcnhjghjuyjpb
11 თებერვლისთვის

ვერძი — ფული გაქვთ, საჩუქრებიც გექნებათ. **კურო** — კარგ ამბავს გაიგებთ და გაგიხარდებათ. **ტყუპები** — თქვენი საქმე კარგად მიდის, გახარებული ხართ. **კირჩხიბი** — ახალი პროექტი გაამართლებს, ფულიც გექნებათ. **ლომი** — სიტუაცია გამოსწორდება, ბედს ეწევით. **ქალწული** — გზიდან ამანათს მიიღებთ, ძალიან მოგეწონებათ. **სასწორი** — თოვლის ბაბუა თქვენთვის არსებობს. **ღრიანკალი** — გაგიუმჯობესდებათ მატერიალური მდგომარეობა, გელით სხვა სიახლეც. **მშვილდოსანი** — ცხოვრება რადიკალურად გეცვლებათ. **თხის რქა** — დასვენება და გართობა გჭირდებათ. **მერწყული** — ახალი პროექტი სიმდიდრეს მოგიტანთ. **თევზები** — ყური მიუგდეთ მეგობრების რჩევას, გამოგადგებათ.

უბცეჰდტ,ს ,ტლყბტჰ ლქტს=

იუმოhი

კაცმა მის წინ მიმავალ ქალს მიაძახა:

— ქალბატონო, მე თქვენ მიყვარხართ!

— თქვენ რა, მთვრალი ხართ? — უპასუხა ქალმა და კაცისკენ შემოტრიალდა.

კაცმა შეხედა და უპასუხა:

— არა, ამდენი არ უნდა დამელია!!!

●●●

ექიმის ჩანაწერი:

„მიმღებ განყოფილებაში მოხვედრისას ავადმყოფს გული გაუჩერდა და თავი უკეთ იგრძნო."

●●●

ცოლი ჩაფიქრებულ ქმარს ეკითხება:

— რაზე ოცნებობ?

— რაზე და ოკეანეში საკუთარი იახტით მივცურავდე.

— მე სად ვარ?

— იქვე, წყალში იხრჩობი.

●●●

გურულ ქალს ქმარი მოუკვდება და წესს აუგებენ. ქალი მივა და მიცვალებულს გულის ჯიბეში 50 ლარიანს ჩაუდებს, თან დაატირებს: „ფული გიყვარდა, შე საცოდავო და წაიღე".

მერე უფროსი ქალიშვილი მივა და წიგნს ჩაუდებს: „კითხვა გიყვარდა".

შემოვა შუათანა ქალიშვილი და ისიც წიგნს ჩაუდებს: „იმ ქვეყანაში წეიკითხე".

ბოლოს პატარა ბიჭი შემოვა და ისიც წიგნს ჩაუდებს მამას: „წეიკითხე, შე საწყალო".

ამ ყველაფერს მეზობელმა უყურა, ბოლოს ვეღარ მოითმინა და გარდაცვლილის ცოლს ეუბნება:

— ამას სასტავლებლად თუ უშობთ, ფული დუუმატეთ პაწა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

h3xცეჯ3ლბ ,

შვეულად: 1. პოპულარული კლიმატურ-ბალნეოლოგიური კურორტი საფრანგეთში; 2. რაიონული ცენტრი რაჭაში; 3. ტბა საქართველო-თურქეთის საზღვარზე; 4. მუსიკალური გამის მეშვიდე ბგერა; 5. ბიზნესი, სავაჭრო საქმიანობა; 6. ფიჯის დედაქალაქი; 7. წყალსაცავი მდინარე არაგვზე; 10. მტვერსასრუტის გამომგონებელი ინგლისელი ინჟინერი; 11. მეფედ კურთხევის საზეიმო ცერემონიალი; 12. უბანი ქუთაისში; 13. იაპონური ელექტროტექნიკური კონცერნი; 16. ზღვისპირა კურორტი ყირიმში; 18. ქუჩის ძველი ქართული სახელწოდება; 19. „ფორმულა-1"-ში მონაწილე ესპანელი ავტომრბოლელი; 21. რძის პროდუქტების მწარმოებელი ქართული ფირმა; 24. ფულის ერთეული ინდოეთში.

თარაზულად: 1. იტალიელი მხატვარი ლეონარდო დავინჩის მასწავლებელი; 3. შემაგრებული ესპანური ღვინო; 8. აჭარული ცეკვა; 9. დიდი ქრისტიანული დღესასწაული; 14. მოქანდაკეს ხის საჭრეთელი; 15. მტვირთავი მუშა ნავსადგურში; 17. ერთგულების მტკიცე პირობა; 20. კლიმატურ-ბალნეოლოგიური კურორტი ბორჯომ-ხარაგაულის ნაკრძალში; 22. მონასტერი ოჩამჩირის რაიონში; 23. მშიშარა, მხდალი ადამიანი; 25. მარადმწვანე ხე, ბუჩქი; 26. ფრანგი მეზღაპრე; 27. ქართული ნაციონალური ტანსაცმელი; 28. ბავშვთა დაავადებათა შემსწავლელი მედიცინის დარგი.

შეადგინა თ. გოგინაშვილმა



ობყფ ყჯვტჰიბ უფვჯმღტ.ყტ,ეპბ h3xცეჯ3ლბს გფცე[ტ,ბ5

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. დევი; 2. ექო; 3. კოტირება; 4. ჭა; 5. ჩუქურთმა; 6. ლელო; 7. ხილნარი; 10. ლიპი; 11. მუხამბაზი; 12. ფოტოლიზი; 13. კერი; 16. უჯარმა; 18. სიცილია; 19. ღვინიო; 21. ლიტვა; 24. ზებრა.

თარაზულად: 1. დუმბაძე; 3. „კაჭიჭი"; 8. ბუშელი; 9. ვალი; 14. სპილო; 15. ტეხური; 17. ტირე; 20. ბემოლი; 22. მაისი; 23. ვალიზა; 25. უხა; 26. რახი; 27. „აიდა"; 28. ბრაზავილი.

სკანდალი – მიშა გომიაშვილს იდენტობამ“ უჩივლა

მიშა გომიაშვილი: „ვერ ვიტან მდაბიო პიდარასტებსა და მათ პროპაგანდას“

ეკა არეშაშვილი

მარჯანიშვილის თეატრის მსახიობი, მიშა გომიაშვილი, სკანდალში გაეხვია. მას შემდეგ, რაც მან ქართული ტელევიზიები გააკრიტიკა და უმცირესობის წარმომადგენლებს შეეხო, არასამთავრობო ორგანიზაცია „იდენტობამ“ საგანგებო განცხადება გაავრცელა და მოუწოდა ყველა დამსაქმებელს, დაუყოვნებლივ შეწყვიტონ მსახიობთან ყოველგვარი თანამშრომლობა:

„კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის მსახიობის, მიშა გომიაშვილის პიროვნებაური ტენდენციის აშკარა, როგორც მოსალოდნელი იყო, სწრაფად გავრცელდა ყველა შეძლების შეშფოთებით და თითქმის მაღევდა მეცი დაყოფვების. შეიძლება, გომიაშვილის განცხადება უნებლიე პიროვნების შორეც გამოვლინად მიგვეჩნია, რის ნაკლებობასაც ნამდვილად არ ეუნიათ და ნიტის გაბრდღვნა გადაეგვიფიქრებინა, თუმცა, დღეს ჩვენ ასე არ მოვიქცეთ. მსახიობის მიერ ფეისბუქზე გამოქვეყნებული ტექსტი, დარიან რუსულით შეთხზული კონსპიროლოგიით და პრიმიტიული შინაარსი, თავისთავად და ცხადად წარმოჩენენ ამ ადეილოგიის უმთავრეს ხასიათსას, რუსეთის ფედერაციის პრობაგანდისტულ მიზნებს. მაგრამ, მანც საჭიროდ მიგიჩნევთ, ჩვენი ერთგული ინტერესებისა და თავისუფლების მტრების პასუხი სწორედ გომიაშვილის მაგალითზე გავიცეთ, რადგან სწორედ მასთანება ხდებიან რუსეთის მიერ გავრცელებული საძულველის ბრძად გამავრცელებლები.

მეზობელ ქვეყნებში რუსეთის ხელისუფლება საძულველის პრობაგანდას ეუსპირებს აწარმოებს. რუსეთის მიზანი პოლიტეკულობის „ვარეუნელებისთან“ გაიგივება და ამ ვარეუნელების ეუსპირტორად დასაელეთის წარმოჩენაა. რუსული პრობაგანდისტული მანქანა საქართველოშიც წარმატებულად ამუშაობდა ამ ცნობილი ფაქტის მიუხედავად, რომ პოლიტეკულობა ძუძუმწოვართა ათასობით სახეობაში, მათ შორის, ადამიანში, თდოვანეუკა გავრცელებული. პოლიტეკულობა რომელიმე ერთ ციველობაციაში არ დაბადებული, ის ეუხედება ყველგან და ყოველთვის. პოლიტეკულობა არსებობს ადამიანის ეანების დედიან. შეუძლებელია მასი ეუსპირტი და ამპორტი. ასეეე. შეუძლებელია სექსუალური ორიენტაციის ცვლილება, მასი თავს მოხეეკა ან პრობაგანდა. პოლიტეკულობა ან ხარ, ან არა. პოლიტეკულობას ეერც შეიძენ და ეერც დაკარგავ. სხვადასხვა შეფასებით, პოლიტეკულობა ხვედრითია ზოდი ყველა ადამიანთა ყველა ხაზოვანდობაში 5-10 პრიეენტს შორის მერყეობს. სამაგალითოდ, რასი ეუსპირტზე შეიძლებელია, ეს პოლიტეკულია ადამიანების მიმართ სიძულვილია. აღვილია პოლიფობიის ამპორტიც: ადამიანების მიკავრებელი ადეილოგიასა და კანონების გადმოღება და მოქალაქეებზე მათი თავს მოხეეკა. აკითხეთ: რაში აწეკობს რუსეთს, მთელს ყოფილ ბანჭთა ქვეყნებში პოლიტეკულების ხდიის და მათი მიძულეება ფფინანსოსთ? ნუთუ „ეკლის აკლია“ პუტინს, როგორც კიდეე ერთი ქართველი მსახიობი და პარლამენტარი ამბეთდა, ხდიის „ახლა ნებისმიერ პოლიტეკულისტებს და პედოფილებთან თავში რაღაც უბრალუნის?“ აქ პასუხი მარტივია. რუსეთის ხელისუფლების ხასიათიდან ხედრდა თავი ამეკვარად წარმოაჩინოს, თითქოს ეს ქვეყანა „ტრადიციული ღირებულებების“ ხალთაჯიზე დგას და „გარეკნელი დასავლეთისგან“ განსხვავდება. მორალურად შეურყვნელია. მორალზე საუბარი ნორმალური ადამიანებში დიმილის ეწვევს, რადგან მორალისტება, როგორც წესი, ყველაზე „გარეკნელები“ არიან ხოლმე. მაგრამ უმრავლესობა მაინც ვერებაა ამ მახეში.

„არ მარწყვნია პრორუსული ვიყო, ვიდრე პრობადარასტული“? – კითხულობს კოლექტიური გომიაშვილი. ამ ერთ ფრაზაში ფაქტობრივად მოქცეულია რუსული პოლიტიკის ძირითადი ხაზი. დასავლეთისგან განსხვავებით, რუსეთი მსოფლიოს სახარგებლოს ვერაფერს სთავაზობს: ვერც წარმატებული ეკონომიკური განვითარების მოდელს და ვერც სახელმწიფო მოწყობის ეფექტურ სისტემას. რაღა რჩება რუსეთს? რაღაცით ხომ უნდა გამოირჩინოს თავის? შიში. სტერეოტიპები და შიშოლი, აი, რასი ეექსპორტი შეუძლია ეუტანს უხვად.

მოვეუწოდებთ ყველა დამსაქმებელს, დაუყოვნებლივ შეწყვიტოს ბატონ გომიაშვილთან ყოველგვარი თანამშრომლობა ამქამდე, სანამ ის არ გააცხადებს ვერების ადამიანთა და უმრავლესობის, ხალუთანი ღირებულებების წინააღმდეგ გადმოთხეული სიძულვილის მაგნებლობას. წინააღმდეგ შემთხეეევაში, ვიზრუნებთ იმაზე, რომ მასი ნებისმიერ დამსაქმებლისთვის ამიერიდან შეუძლებელი გახდეს პოლიფობი დასის წევრებთან ერთად „გარეკნელ დასავლეთში“ გასტროლებით ტკბობა. ამიერიდან, ბატონ გომიაშვილსაც შეეძლება მსხეეერპლად წარმოაჩინოს თავი“.

●●●

მიშა გომიაშვილის დაუპირისპირდა უმცირესობის უფლებების დაცველი ლაშა თქრაშვილიც:

„პრობლემა ღღბ-ში კი არ არის ბატონო მიშა, პრობლემა თქვენი აზროვნებაა. ჯერ ერთი, რომ ამ ხნის კაცს ჩიმბად გადაქცევის გეშინიათ, თავისთავად ცხადეეოს თქვენი აზროვნების არეული. მეორეც, ღღბ-ს არც აშერკა გახეეეთ თავს და არც ევროპა, თუ არ მოგწონთ განსხვავებული ადამიანები, ეე თქვენი ნებაა, მაგრამ საკარო საუბეეში პოპობიის ნოხეეა რახიშის ეეკვალიფიკაცია. ღღბ ბიჭები ყოველთვის იყვნენ, არიან და იქნებიან, უბრალოდ აქამდე ისინი ობიექტეეობა ცხოვრობდნენ, დღეს კი ცდილობენ, გამოეედნენ და მიდიან ის, რაც მათი ეეკუთვნით – თავისუფლებას!“

●●●

მიშა გომიაშვილმა „იდენტობის“ და ლაშა თქრაშვილის განეხილვებს განეხადებითეე უპასუხა:

„ობიექტში დიდი ხნის წინე იყენენ არაბრუდიციული ორიენტაციის მქონე ადამიანები, მოციკეეეები, რეეეხორებო, არქიტექტორები, მსახიობები და ახე შემდეე. ეს ის ხალხია, ვისაც მთელი ობიექტი ისინდა და ამ ხალხის მიმართ არასოდეს არ ყოფილა უარეოფითი დამოკიდებულება. პირიქით, ამ ხალხს პატივსაც სცემდნენ და ძალიანაც აფასებდნენ, როგორც თავიანთი ხაქმის პროფეხიონალებს და როგორც ძირეუნებებს. ისინი არასოდეს გახეეეენენ თავს თავიანთ ორიენტაციას, ეს მათი პირადი ხაქმე იყო და არავის არ ერეოდა მათ პირად ცხოვრებაში. ისინი ისე ცხოვრობდნენ, როგორც თეკდნენ საჭიროდ და არც ქალაქისგან იყო მათ მიმართ აერეხია და გაეცხეეა.

ახლაც ძალიან ბეეე აღიშიანს ეიცინობ მსგავსი ორიენტაციის, ზოგიერთ მათგანთან მაეეეეხ პროფხიონალური ურთიერთობა, თუ ეუბრალოდ შეხეება, დიდ პატივს ეცემ ამ ხალხს, არა იმიტომ, რომ ისინი ორიენტაციით ხომ ეუნდა ეეკუთვნოდნენ, არც იმიტომ, რომ ისინი თავიანთი ხაქმის პროფხიონალები არიან და ზოგიერთ მათგანთან ეუმეეობრობ, ისინი კულტურული და ძალიან განათლებული ადამიანები არიან და მეგობრობაც ძალიან კარეი იციან და ეს ადამიანებიც ისე ცხოვრობენ, რომ არ გაეეეხებენ თავიანთი ორიენტაციით ორიენტაციით ხომ ეუნდა ეეკუთვნოდნენ, არც რაიმე უფლებებს ითხოვენ, ეს მათ არ ჰქირდებათ.

თუ გადახედავ მსოფლიო კულტურას, კინოს, მეეეერნიერებას, ფრიმატეეროვას, მხატვრობას, ბეეეი მათგანი არატრადიციული ორიენტაციის წარმომადგენელი იყო. ისინი ეუნეოსები იყვნენ, მაგრამ მდაბიო პიდარასტებს ეერ ვიტან და მათ პრობაგანდას. ზოგიერთმა, სიეიალურად ქხელის მომხმარებელმა, კომენტარში დამეწერა, რომ მე თურმე პრობლემა აზროვნებაში მაქეს და მე, ამ ხნის კაცს, ზომბად გადაქცევას მეეთხია და ეეხა აზროვნების ეაერო არეალზე მიმითითებს და მპატრობს, რომ თურმე ეს ადამიანები დღეს ცდილობენ მიიდინ ის, რაც მათ ეეკუთვნით – თავისუფლება. რას ეძახით თავისუფლებას? ახე ძალიან რომ ხართ შეყვარებული ამ ეეკონახეა და ამერიკაში. თუ ყოფილხართ ამ თქვენს შეყვარებულ ქვეყნებში, ნახეედით, რომ ამ ადამიანებს აქეთ თავიანთი კლუბები, კაფეები და რესტორნები და ზედ დიდი ახეოებით აწერია, რომ ეს არის ეეკ კლუბი და ეეკ კაფე ხერულით, აქ არ შეხეალ, მთრსი და გათავდა. თუ ხადმე ვინახავთ, კაფეში შეხელებამ და შეეალიეებამ ერთად მეედიო თეატრი და მათ ეეკურდით მაედახთან მეედიო ორი ეეკი, რომელებიც თავიანთ სახაეეკარეეო ეენებებს მიეეეიან, ხახაობენ? დარწმუნებული ვარ, რომ ეეკ ნახავდით. ეეკრე ხადმის რესტორანში და კიდეე ხხვა ბეეე ადგილზე და ეეკ ნახავდით ამიტომ, რომ მათ აქეთ ამდენი შეეხენება.

ჩვენთან ეეკეეოფერი გაეკედმართებულია. რომ ბრძანებთ, ეეკეეა და თავისუფლებაო! სად არის მაშინ ჩვენი ეეკეეებები და თავისუფლება? რა? ეეკერნელებით მთა ხახლებში და მათ შეკრების ადგილებში და ვარშეეთ? ახეთი ხიცხოეეეის წინააღმდეეა მეც ვარ, მაგრამ რომელიც დღისით მხახით ქალაქის ცენტრში ხკლახთან დგახ ორი ახაეეკაზრდა შეეეებელი ყმაწვილი და ხახობს, ამას რა დავარქეა? თავისუფლება? ეს რა ხაქეიეეაა? რას ნიშნავს ეს? ვინც მათთან დამაძახეთ და ვინც რახიხტა, მთელი ქალაქი აოახა რეკეეას ხახიხთ გაიეხა და ქალაქის ცენტრში ბორდეეები გაეკეხსნეს და ახე აქეეეან, რომ ხტუმარი მეეონა ეექს ქალაქში თავი. ეს ალბათ არ გაეეუნებთ. ეხეე თავისუფლებაა?

პოლოფობაში რომ მდგახ ბრალს, ეერ გაერკეეეთ ამ ხატყვის მნიშეეენობაში. მერე, თუ თქვენ ეერ ძალგახთ ამოეკოხთით აზრი ჩემი წერილიდან, ხახოეეთ ვინმეს, რომ აგიხხნას, თუ რა წერია ჩემს წერილში და მერე გამოიმტკიეეთ განიხნეთ თუ რა საკადის პახუხს გაეეცეს ახტორიაა და რა ადგილს პოლიტეს. ერთ რამეში ეარ მხოლოდ დარწმუნებული, რა ადგილიც არ უნდა მოიხხნოს ახტორიამ, თქვენ ნამდეილად იქ, ეეკ გეეერდით ეერ მოხეედებით. უპრიანი ხომ არ აქეებოდა, თქვენს აზროვნებაში ეძიოთ პრობლემა?“

ნინი ბადურაშვილის ახალი კლიპი გააკრიტიკეს

ეკა არეშაშვილი

ნინი ბადურაშვილმა ახალი კლიპი გადაიღო. ეიდეოროლიკი ახალ სიმღერაზე „აქ ვარ“ შეიქმნა. შუხაკა ნინი ბადურაშვილმა და ეკა კახიანმა ერთად დაწერეს, ტექსტი კი მხანაც გურგენიძემ. ნინის ახალი კლიპი ერთ-ერთ პიეელითნში გადაიდეს.

მომღერალს ეიდეოროლიში თოკრეეში მიღეეეს ქართველი დიზაინერის რამაზ ჩოჩას კოსტეეეები აცეია. ახალი კლიპის პრეზიცია მომღერალმა მაია ახათიანთან სტუმრობისას „პროფილში“ გამართა.



ეიდეოროლი უკვე ინტერნეტში დევს და მას 20 ათასზე მეტი ნახვა აქეს. როგორც მოხალისეული იყო, მომღერლის ახალმა სიმღერამ და მასზე გადაღებულმა ეიდეოროლმა მეეურვალეები აზრთა ხხეადახხეათა გამოიწეია, მხეეეელის ნაწილმა მისი ახალი ნამეეურალი ხომ საეროდ, მონაბედია. დაბალი დონის ბიკა, მერე უკეთრთ, რამოთ იღეეეს ამდენ კრიტიკას ჩეენგან და არ მეეთ მხმენეელი. ხამარცხენითა ქართული „შოუბიზნეხი“. რომელიც წინ ხამდეეოლად ეერ წეეა, რადგან ნაჭიერი ხალხის მაგიერად, ეეკეეკნაირ პერხპექტიეას რომ უკლავენ, სულ ერთი და იგეეე ეეკეეი ამოხეეხა ხახეეები ტრანხალეეებ და თავს ხახიეეოდით იგდებენ მათი ახალ-ახალი შედეერებით.“

„არც მე არ მომეწონა არც ტექხტი და არც მეეღოდა, მაგრამ შეინახეთ ეს ხიზნი და შეეერაცხმყოფელი ხიტყეები თქეენთეის, ხამარცხენითა უკეე! შეეძეეოთ ხხეეხი მეხიერების, ხალამაზის თუ რაც ექნება, ამის ატანა და მოწონება, ან უბრალოდ ხხეეხი ბედნიერების არშეეურება მაინც. ახედა ბატარა ერა ვართ და ამდენი ხიძულეეილი მართლა ბოლის მოგეედებს. ეეკელამ ეეცდოთ, რომ ხაკეთარ ცხოერებას, პრობლემებს და წინეეეებს მოეხედოთ.“

ჩინური ავიაკომპანია ფეხზე დასაღგომ ადგილებს შემოლილებს

ნანური ლუკოსტერი სპრინგ ეირლეინზზე ამაორებს, თავის მგზავრებს ფეხზე დახადგომი ადგილები შეხთავაზოს. ავიაკომპანიაში აღნაშნეს, რომ ეს ხაიხლე ბილეთების ფახების დაწეეას ხელს შეეწეობს. გადამზადება მიკეთხა ინეიატორთა ადრეე გამოეიდა. მართეელად მსგავსი წინადადება 2008 წელს ნანურა ახალი წლის წინ ბილეთების დეფიციტის პახუხად წამოაყენეს კომპანიის მხარმეეელობის თანეშედომარე ვან ნეეენხეან. ავიაკომპანიის პრეხ-მდივანმა განაცხადა, რომ რეისებზე ფეხზე დახადგომი ადგილების დანერგეა მხოლოდ ეკეთეების ეკეთეეში.

– ხაქართეა შეთანხმება თვითმფრინავეების მწარმოებლებთან, უნდა მეეიდოთ ხელისუფლების თანხმობა და ჩეენი მეზობელი დაეარწეენით ამ იდეის მართებულობაში, – განაცხადა ვან ნეეენხეან.

მსგავსი წინადადებით ადრე სხეა ავიაკომპანიებიც გამოეიდნენ, კერძოდ, ირლანდიური რეუნეიარ პილდინეა. თუმცა ფეხზე დახადგომი ადგილების შემოღება ფრენების უსაფრთხოების დაცვიდან გამომდინარე, დღემდე ეერც ერთმა ავიაკომპანიამ ეერ მოახერხა.

ᲒᲐᲛᲝᲪᲓᲔᲑᲘᲡ ᲣᲤᲚᲔᲑᲐ ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲔᲑᲐ

შეუძლეე აღეექხნდრე ხეანძე. ეეკლი გია, რამდენი ნანო კლეაიშეკლი, შეკლიშეკლება აკო, ნიკა და ლუკა შეეხარებით თეეყეებიან, რომ გაოდაიცეკლა

ნათელა ცომაია-სეანიძე

პანაშეკდი: 11 თებერეკლს.
დაკრძალეა: 12 თებერეკლს, 14 ხაათზე.
მისამართი: შატბერაშეკლის ქ.№4.

ᲒᲔᲒᲛᲘᲡ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲐ

ოთხშაბათი 11 თებერვალი

07.30 "ჩვენი დილა" **08.00, 09.00, 10.00, 12.00, 16.00, 19.00, 20.00** "მოამზე" **10.15, 01.00** "პირადი ექიმი" **11.00, 02.40** "სამოთხის ვაშლები" **12.40** "სადილის დრო" **13.20** ტ/სერ. **"ᲒᲐᲫᲘᲚᲘᲡᲘ"** **14.20, 01.20** "პოპკულტურა" **15.00, 21.00** ტ/სერ. **"ᲒᲔᲓᲚᲘᲡᲬᲘᲠᲘᲡ ᲐᲠᲙᲐᲜᲘ"** **17.00** "კომენიკატორი" **19.30** "სიტყვების თამაში" **22.00** მხ/ფ **"ᲫᲕᲘᲠᲘᲡ ᲓᲦᲔᲔᲑᲘ"** **23.30** მხ/ფ **"ᲨᲘᲨᲘ"**

08.00, 10.00, 12.00, 15.00, 17.00, 21.00, 23.30 "ბრაზილიის დრო" **09.00, 19.00** "თავისუფალი ტრიბუნა" **10.30** "არგუმენტების დრო" **14.00, 16.00** ტ/სერ. **"ᲓᲦᲘᲡ ᲐᲜᲯᲔᲚᲘᲡᲘᲡ ᲐᲠᲚᲘᲪᲘᲐ"** **20.00** "მოამბე" (აფხაზური, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ, რუსულ ენებზე) **23.00** "ნამდვილი დრო"

06.45 სერ. **"ᲡᲘᲪᲝᲪᲮᲚᲘᲡ ᲡᲘᲧᲕᲐᲠᲣᲚᲘ"** **07.30, 08.05, 09.10** იმედის დილა **08.00, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 02.50,** ქრონიკა **10.05** სერ. **"ᲣᲓᲘᲓᲔᲑᲣᲚᲘ"** **11.20** სერ. **"ᲘᲜᲜᲘᲡᲘᲡ ᲚᲔᲒᲔᲜᲓᲐ"** **8** სერ **12.30** დღის შოუ **14.40** სერ. **"ᲛᲔᲜᲔᲯᲔᲠᲘ ᲓᲐ ᲥᲐᲚᲘᲬᲘᲜᲘ"** **17.35** სერ. **"ᲐᲠᲣᲨᲐ ᲥᲐᲚᲘ"** **18.45, 19.03** სერ. **"ᲓᲐᲙᲐᲠᲒᲣᲚᲘ"** **9** სერ **20.55** სერ. **"ᲨᲔᲠᲚᲘᲙᲘᲡᲔᲚᲘ"** **8** სერ **22.00** ეკა ხოფერიას თოქ შოუ **23.00** სტუმრად იუმორისტებთან **00.00** EMERGENCY **01.00** მხ/ფ **"ᲒᲐᲖᲘᲚᲘᲡ ᲛᲔᲤᲔ"** (ს.სიგალი) **03.00** მხ/ფ **"ᲣᲒᲠᲜᲝᲒᲔ ᲨᲔᲣᲞᲐᲠᲔᲑᲔᲚᲘ"** (ო.მუტი)

06.00, 16.00 სერ. **"ᲡᲐᲚᲘᲜᲐᲠᲐᲕᲔᲑᲘᲗᲘᲔᲚᲘ ᲓᲘᲐᲡᲐᲮᲚᲔᲡᲔᲑᲘ"** **07.30** დილამშვიდობისა საქართველო **10.00** სერ. **"ᲮᲔᲚᲘᲡᲬᲔᲠᲐ"** **12.00, 15.00, 18.00, 21.00** კურიერი **12.30** "შუა დღე" **16.00** სერ. **"ᲡᲐᲚᲘᲜᲐᲠᲐᲕᲔᲑᲘᲗᲘᲔᲚᲘ ᲓᲘᲐᲡᲐᲮᲚᲔᲡᲔᲑᲘ"** **18.45** სერ. **"ᲓᲐᲑᲐᲓᲔᲑᲘᲡ ᲪᲐ"** **19.45** სერ. **"ᲓᲐᲠᲐᲕᲔᲓᲘ"** **22.00** "ნანუკას შოუ" **23.30** მხ/ფ. **"ᲛᲮᲘᲜᲐᲕᲘ ᲠᲝᲙᲐᲕᲐᲠᲘ"** **01.30** მსოფლიო კინო-პრემიერები კადრს მიღმა **03.00** კურიერი. დაიჯესტი **03.30** მხ/ფ.

06.10 საგალობელი **06.15** დ/ფ "ველური ბუნება" **06.40** დ/ფ "შახური ლეთისა და კაცისა" გაბრიელ ეასკოპოხი **07.10** ჩვენი საგანური **07.25** მწვანე არქიტექტურა **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** "განთიადი" **10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30** სიახლენი **10.35** დ/ფ "გიორგი ჭყონდიდელი" **10.45** ქრისტიანული ხელოვნება **11.30** მგზავრები წუთისოფლისა **12.10** ღია აუდიტორია **13.00** მოკ/ფ **"ᲛᲝᲛᲔᲠᲘᲜ ᲛᲐᲙᲐᲠᲔᲑᲔᲚᲘ"** **13.30** "შუადღე"ერთსულოვნებაზე **15.05** "ცეთლობოწყალე უფალი" III ნან. **15.35** კონცერტი - ედიშერ სავიცაი **16.50** კვირიაკე **18.10** განთიადის სტუმარი **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.20** მხ/ფ **"ᲡᲘᲡᲐᲠᲣᲚᲔᲑᲐ"** **20.40** ძიელი ნებისა **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.20** "ევერიის ეკლესია" **22.35** ეპოქის სახელები **22.35** ქართული ალბომი **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** საქართველოს ქალაქები **23.45** თვენი "წმინდა მეფე ამოტ კურაპალატი" **00.35** განთიადის სტუმარი **01.00** "შუადღე"ერთსულოვნებაზე

ᲛᲐᲡᲘᲡᲮᲠᲛ

7.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 18.00, 2.00, "მაესტროს ახალი ამბები" **7.30** ანიმაცია **"ᲓᲠᲐᲙᲝᲜᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲜᲐᲓᲘᲠᲘᲜᲔᲑᲘ"** **7.55** "საქმიანი დილა" **9.40, 12.30, 13.05** "ბიზნეს კონტაქტი" **10.00 ᲡᲔᲠᲘᲐᲚᲘ "ᲔᲫᲐᲘ ᲨᲕᲘᲚᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ"** **13.35, 14.05 ᲡᲔᲠᲘᲐᲚᲘ "ᲡᲜᲯᲘᲡ ᲡᲐᲔᲪᲚᲘ"** **15.35** გადაცემა "უცნობი ისტორიები" **16.05, 17.05 ᲡᲔᲠᲘᲐᲚᲘ "ᲞᲐᲠᲐᲚᲔᲚᲣᲠᲘ ᲡᲘᲧᲕᲐᲠᲣᲚᲘ"** **17.35** გადაეცემა "მონიტორი" **18.45, 22.00 ᲡᲔᲠᲘᲐᲚᲘ "ᲓᲘᲓᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲐᲣᲙᲣᲜᲔ"** **0.00,** მხ/ფ **"ᲨᲘᲜᲗᲔᲚᲘ ᲫᲘᲚᲘ"** **2.30** "ბიზნეს კონტაქტი" **3.30** მხ/ფ **"ᲛᲔ-13 ᲠᲐᲜᲘᲔᲠᲘ"**

ᲒᲐᲮᲡᲜᲘᲚᲘᲐ

ᲐᲜᲯᲔᲚᲝ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘᲡ ᲓᲦᲔᲡᲐᲡᲬᲐᲣᲚᲘ ᲒᲐᲛᲝ

ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

11 თებერვალი

აშშ დოლარი — 2.0346

ევრო — 2.304

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.0965

100 რუსული რუბლი — 3.0868

ამინდის პროგნოზი 11 თებერვლისთვის

დილამ“ იანგ ბოიზის“ ახალგაზრდებს მოუგო

ქართული კლუბების ნაწილი თურქული შეკრებიდან დაბრუნდა

თბილისის „დინამოში“ თურქულ შეკრებაზე მოთამაშე სპარინგი გაემართა. შეტოქე უკრაინის პრემიერლიგის გუნდი — მარიუპოლის „ილიჩევეცი“ გახლდათ.

შეხვედრა ფრედ 0:0 დასრულდა. გოლის გატანის შესაძლებლობა „დინამოს“ ორჯერ ჰქონდა. პირველ ტაიმში სახიფათოდ ურტყამდნენ თოთაძე და ჭანტურაშვილი, პირველი საგოლე შანსი კი მანუჩის ეკუთვნოდა. მეორე ტაიმში უფრო ხელსაყრელი მოენტება ჰქონდათ გუგას და ჭანტურაშვილს, ხაფათი მოჰყვა მაქსლაძის დარტყმასაც. თუმცა, ამ ეპიზოდებში გოლი ვერ გაითამაშეს.

„დინამოს“ ახალი შემადგენლობით ითამაშეს: ბრდღინჯა, კაკაბაძე (გვეტაძის 86), რცხილაძე, ჭანტურაია, თოთაძე (ტაბატაძე 46), ცინცაძე, ბარუნაშვილი, კიტუაშვილი (გუგა 74), ჭანტურაშვილი, ლომაიძე (მაქსლაძე 86), მანუჩარი (უგულავა 60).

გაგრძელება მე-9 გვერდზე

24 თებერვლიდან!

ქართული დეტექტივის მე-9 ტომი ავთანდილ ბუხრაშვილი

მყუდრო აგარაკის საიდუმლოება

მათთვის, ვინც ვერ მოახერხა პირველი 8 ტომის შეძენა

27 იანვრიდან გაიყიდება
ტომი 1
ეგლის ბილიკი

30 იანვრიდან — ტომი 2
შავი ვარდი

3 თებერვლიდან — ტომი 3
საზღვარი

6 თებერვლიდან — ტომი 4
საბედისწერო გასროლა

10 თებერვლიდან — ტომი 5
ქვრივები და არიფები

13 თებერვლიდან
ტომი 6
ვინ მოკლა ინსპექტორი. წიგნი 1

17 თებერვლიდან
ტომი 7
ვინ მოკლა ინსპექტორი. წიგნი 2

20 თებერვლიდან
ტომი 8
დანაშაული აღარ მოხდება

პრინც უილიამის მომავალი შვილის სქესი და სახელი უკვე ცნობილია

პრინცი უილიამი და ქეით მიდლტონი გოგონას შვილობა გახდებიან. ბავშვის სქესი ცნობილი გახდა ფეხმძიმობის 21-ე კვირას ჩატარებული საშვილიანო გამოკვლევის შედეგად.

მომავალი ბავშვისთვის სახელის შერჩევას წყვილი ტრადიციულ ელისაბედსა და შვილს დარჩევაზე ფიქრობდნენ. საბოლოოდ უილიამმა და ქეითმა გადაწყვეტეს, რომ ბავშვს ბებიის, პრინცესა დიანას პატივსაცემად მისი სახელი დარქმეოდა.

ინფორმაციის მიმწოდებლის თქმით, დედოფალ ელისაბედ II-ს, რომელსაც წარსულში არცთუ კარგი ურთიერთობა ჰქონდა დიანასთან, შვილიშვილის ამ გადაწყვეტილების საწინააღმდეგო არაფერი აქვს, მან აღნიშნა, რომ პრინცესა კარგი დედა იყო.

ის, რომ პრინცი უილიამი და მისი მეუღლე ქეით მიდლტონი მეორე ბავშვს ელოდებიან, ცნობილი 2014 წლის ნოემბერში გახდა. ბავშვი მიმდინარე წლის აპრილში უნდა დაიბადოს. სამეფო წყვილის პირველი შვილი პრინცი ჯორჯი 2013 წლის 22 ივლისს დაიბადა. ის ტახტის მემკვიდრეთა სიაში მეცამეტე მოიპოვა და ამავე დრომ პირველადა დედა ბრიტანეთის ისტორიაში, რომელმაც კეთილშობილი პრინცის ტიტული მიიღო.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ჰკითხეთ თ

შვეულად: 1. პირუტყვთა მოვაჭრე ძველად; 2. მიწის ფართობის საზომი ერთეული აშშ-ში; 3. ხაყოველთაოდ აღიარებული აზრის, მსჯელობის საწინააღმდეგო მკვეთრად განსხვავებული შეხედულება; 4. ბალნეოლოგიური კურორტი სამეგრელოში; 5. ქართული ლიტერატურული ჟურნალი; 8. ფეხის სარეცხებლით გამსხვრევის, შეკახ-შის ძველებური სახელწოდება; 9. ოხერი ხაჭამური; 12. ესპანეთის ნაკრებისა და „რეალის“ ფეხბურთელი; 14. შემაგრებული ესპანური ღვინო; 16. ერთ-ერთი პირველი კინოთეატრი თბილისში.

თარაზულად: 1. რაიონული ცენტრი გურაში; 6. შეხულშინია მარხვა; 7. მწერჩამია ჭაობის მცენარე; 9. ხუთზის სტალინური პრემიის ლაურეატი ქართველი მსახიობი მამაკაცი; 10. ფულის ერთეული თურქეთში; 11. ხან-რიმის კინოფეხტბოლის გრან-პრის მფლობელი თენგიზ აბულაძის მხატვრული ფილმი; 13. სახარგებლო წაგებისუნლის მაწახსენებელი მოპოვების აღგილი, მაგალითად; 15. კურორტ ილიჩის ქვეყნი სახელწოდება; 17. ჩანჩქერი კანადა-აშშ-ს საზღვარზე; 18. ყოველდღიური გაზეთი იტალიაში; 19. ხუმრობანარკვეტების ქსელის მფლობელი ფირმა საქართველოში; 20. ლიტრაკეული სამღერა.

შეადგინა ა.კობახელიშვილმა